საერთო გაზეთი

№24 (529) • 3 ივლისი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ტყუილი მგონია ის შეფასება, რომელსაც გაზეპირებულივით იმეორებს ყველა 20 ივნისს დაწყებულ აქციასთან დაკავშირებით.

ამ ტყუილს კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ, როცა ამ ტყუილზე დაყრდნობით კეთდება დასკვნები, რომლებსაც ქართული სახელმწიფოსთვიოს შეიძლება სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდეს, ეს ტყუილი უკვე სცილდება უწყინარი ტყუილის ფარგლებს და მავნებლობაში გადადის.

დიახ, დიდი ტყუილი მგონია ის, რომ პარლამენტის შენობის წინ გამართულ აქციებზე მხოლოდ პატრიოტული გრძნობებით გულანთებული ახალგაზრდები დგანან, რომლებსაც თითქოს არანაირი კავშირი არ აქვთ პოლიტიკასთან და პოლიტიკოსებთან, რის დასამტკიცებლადაც ხან უგულავას დაუცაცხანებენ, ხან ვაშაძეს, ხან სააკაშვილს, ხან ბოკერიას და სოშტარიას.

ბერძენიშვილი საქართველოს პარლამენტის წინ

ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენს გასაცურებლად, ჩვენთვის თვალებში ნაცრის შესაყრელად წინასწარ დაგეგმილი და შემდეგ წარმატებით გათამაშებული სცენებია ეს.

ზოგადად, რაც ამ აქციაზე ხდება, ძალიან ჰგავს თეატრალიზებულ წარმოდგენას, სპექტაკლს, რომელსაც, ცხადია, თავისი რეჟისორიც ჰყავს, ეს რეჟისორი კი იმდენად თვალთმაქცია, იმდენად გაქნილი ვინმე ჩანს, რომ თუ ფხიზლად, ცივი გონებით არ შეხედავ ამ სპექტაკლს, შეიძლება იფიქრო, რომ სპექტაკლზე კი არა, რეალობაში ხდება ეს ყველაფერი, სადაც არავინ არაფერს არ თამაშობს.

რა თქმა უნდა, ამ აქციაზე ნამდვილად არიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც გულწრფელად, საკუთარი სინდისის კარნახით აპროტესტებენ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და ცვლილებებს მოითხოვენ, მაგრამ ამ აქციაზე ასევე მრავლად არიან ახალგაზრდები, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ და ევროპული საქართველოს წევრები ან აქტიური მხარდაჭერები არიან.

სწორედ ახალგაზრდების ეს ნაწილი წარმართავს პროცესებოს განვითარებას ამ აქციებზე, ეს პროცესები კი პირდაპირ თანხვედრაშია „ნაცმოძრაობის“ თუ ევროპული საქართველოს პოლიტიკურ ინტერესებთან.

ასე რომ, იმის მტკიცება, თითქოს ამ აქციებს პოლიტიკურ პარტიებთან არანაირი კავშირი არ აქვს, წმინდა წყლის დემაგოგია და სიცრუეა.

სამწუხაროდ, ხელისუფლება თავიდან, ნაწილობრივ, დაჰყვა პოლიტიკური პარტიების მიერ შემოგდებულ ვერსიას, რომ ამ საპროტესტო აქციების მთავარი ორგანიზატორი და წარმართველი სამოქალაქო საზოგადოება, კერძოდ კი ახალგაზრდობა იყო.

ხელისუფლებამ სწორი კვალიფიკაცია და ზუსტი შეფასება ვერ მისცა ერთი შეხედვით სპონტანურად დაწყებულ საპროტესტო აქციას და საპროტესტო მუხტის ჩასაქრობად ირაკლი კობახიძის პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან წასვლას დათანხმდა, რითაც პირველი მსხვერპლშეწირვა განახორიელა.

„ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის თავკაცები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტ ნაცარს დაიყრიდა თავზე და ვინ უფრო მეტად დაიხოკავდა ლოყებს — ეს რა მოხდა, ეს რა დაგვემართა, ეს რა შეცდომა მოგვივიდაო.

რა შეცდომა მოგვიდათ, კაცო, თქვენ, მართლმადიდებელთა საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საქართველოში მოწვევა რატომ იყო შეცდომა?

ესეც არ იყოს, იმ „ნაცმოძრაობის“ მიერ შეთითხნილი ჭორების და ცილისწამების როგორ გეშინიათ — „ქართული ოცნება“ პრორუსული ძალააო, როცა თვითონ „ნაცმოძრაობაა“ ის ძალა, რომელმაც საქართველოს ტერიტორიის 20% ლანგარზე დადებული მიართვა რუსეთს და, ამასთან ერთად, ყველა უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ბერკეტი რუსებს ჩაუგდო ხელში.

ეს მათ, ნაციონალებმა, მიაბეს და მიაჯაჭვეს საქართველო რუსეთს ეკონომიკური და ფინანსური ბორკილებით, საიდანაც თავის დახსნას, ალბათ, ძალიან დიდხანს ვერ შეძლებთ.

აი, ამ „ნაციონალების“, სინამდვილეში, რუსეთის მეხუთე კოლონის, ბრალდების გეშინათ და იმათ უფლით ანგარიშს, პატივცემულო ხელისუფლებავ?

„ნაციონალებისგან“ განსხვავებით, „ქართულ ოცნებას“ ამ შვიდი წლის განმავლობაში არაფერი დაუთმია რუსეთისთვის და არაფრით დაუზიანებია საქართველო.

ეს მაინც თქვით ხმამაღლა, ეს მაინც უთხარით იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ, რას წარმოადგენს ის პოლიტიკური ძალა, კულისებიდან რომ ინსტრუქციებს აძლევს და ცხვრის ფარასავით აღმა-დაღმა რომ დაატარებს თავისი შავ-ბნელი ზრახვების მოსაკვარახჭინებლად.

●

ათი დღეა, პარლამენტის წინ აქციები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ერთადერთი მოთხოვნით: გადადგეს გახარია!

რა დააშავა გახარიამ?

გახარიამ ის დაშავა, რომ მომიტინგეებს პარლამენტის შტურმით აღება უნდოდათ და ამის საშუალება არ მისცა.

უყურე შენ ამ გახარიას, რა მიუქარავს, ბავშვებს პარლამენტში შეჭრა მოსურვებიათ, ამან კი, ამ „თავხედმა“, არ დაანება.

— გახარიამ რეზინის ტყვიები გვესროლა, გახარია უნდა გადადგეს! — არ ცხრებიან ახალგაზრდები.

ძვირფასო ახალგაზრდებო, ერთი კარგად გაიკითხ-გამოიკითხეთ, მსოფლიოს ნებისმიერ ზედემოკრატიულ ქვეყანაში რას მოიმოქმედებდა პოლიცია, ვინმეს რომ მათი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შტურმით აღება მოენდომებინა და მიზნის მისაღწევად სამჯერ რომ განეხორციელებინა იერიში?

რას მოიმოქმედებდა და რეზინის ტყვიებს კი არა, ნამდვილ ტყვიებს დაუშენდა მოიერიშეებს, შტურმის აღკვეთის შემდეგ კი ამ პოლიციელებს და მათ შეფს ხელისუფლება სახელმწიფო გადატრიალების აღკვეთისათვის უმაღლეს ჯილდოებზე წარადგენდა.

ასე იქცევიან იმ სახელმწიფოებში, სადაც კანონი კანონობს.

კიდევ ერთი კითხვა: ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც კორდონებიდან პოლიციელებს თითო-თითოდ იტაცებდნენ, ცემდნენ, აღჭურვილობას ართმევდნენ და უშვებდნენ?

იცით თუ არა თქვენ, რომ ასეთი რაღაცების გაკეთებას დიდი ხნის წვრთნა და სპეციალური მომზადება სჭირდება?

გამოდის, რომ მომიტინგეთა შორის იყვნენ სპეციალურად გაწვრთნილი და მომზადებული ადამიანთა ჯგუფები, რომლებსაც მსგავსი ოპერაციების ჩატარების დიდი გამოცდილება ჰქონდათ.

ვინ იყვნენ ეს ადამიანები? საიდან მოვიდნენ? ვინ მოიყვანა ისინი ამ მიტინგზე?

როგორც ჩანს, ვიღაც-ვიღაცები 20 ივნისს მართლა ამზადებდნენ სახელმწიფო გადატრიალებას და პარლამენტში შეჭრა რომ მოეხერხებინათ, არავინ იცის, რა დრამატულად და საბედისწეროდ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები.

იმაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ გეგმის შესახებ, რომელიც კარგა ხნის წინათ მზადდებოდა და იხვეწებოდა, მომიტინგეთა დიდმა ნაწილმა არაფერი იცოდა — მათ, უბრალოდ, „მასოვკად“, საზარბაზნე ხორცად იყენებდნენ.

დიახ, ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, თუმცა ეს არ იყო სპონტანურად, ცხელ გულზე, ნაუცბათევად შედგენილი გეგმა.

სახელმწიფო გადატრიალების, დესტაბილიზაციის, ქაოსის და არეულობის მოწყობის გეგმა, ამა თუ იმ სიტუაციაზე მორგებული სხვადასხვა ვარიანტებით, დიდი ხანია, გაშზადებული დევს „ნაცმოძრაობის“ შტაბ-ბინაში და ის დროგამოშვებით გამოაქვთ ხოლმე პოლიტიკურ „დახლზე“ სხვადასხვა სლოგანებით და სხვადასხვა შეფუთვით.

20 ივნისს შემოთავაზებულ ვარიანტს საბაზისო თემით „რუსეთი ოკუპანტია“, „არა ოკუპაციას“ თითქმის ერთი წელიწადია, აშზადებს და ელექტორატს სათანადო მიმართულებით ქოქავს „რუსთავი-2“, „ნაცმოძრაობის“ მთავარი იდეოლოგიური მანქანა.

(ამ დიდი საშზადისის დანახვა ადვილზე ადვილი საქმე იყო, თუ ყურადღებით მივადევნებდით თვალს „რუსთავი-2“-ზე გასულ სიუჟეტებს, თოქშოუებს, განსაკუთრებით, „კვირის აქცენტებს“).

მომავალი პოლიტიკური სპექტაკლის მთავარ აქტიორად, მთავარ გმირად სპექტაკლის სცენარისტებმა და რეჟისორებმა ზუსტად შეარჩიეს კონტინგენტი — ახალგაზრდობა, უფრო ზუსტად, ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელიც სულ ახლახან გამოვიდა თინეიჯერობის ასაკიდან.

ახალგაზრდების ეს ნაწილი, აბსოლუტურად გაუცნობიერებელი პოლიტიკური ცხოვრების ლაბირინთებში, აბსოლუტურად მოკლებული ზუსტ ინფორმაციას ქვეყანაში თუ ქვეყნის გარეთ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ, აბსოლუტურად არაინფორმირებული თუნდაც მათ საშშობლოში, საქართველოში, ბოლო ოდაათი წლის განმავლობაში დატრიალებული კატაკლიზმების შესახებ, თაობა სააკაშვილის „პიონერბანაკებში“ გატარებული ბავშვობით, თაობა „რუსთავი-2“-ის ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ გაზრდილი და დაზომბირებული, თაობა, რომლის ძიძა და გადია ნიკუტა გვარამია და მას

3 გვ.

შს მინისტრს პარლამენტი რომ ვერ დაეცვა, მაშინ გახარიას კი არ მოუნევდა გადადგომა, სააკაშვილი გადააყენებდა მასაც და მთავრობასაც

ქართველი ექსპერტები და ანალიტიკოსები 20 ივნისს პარლამენტის შენობასთან განვითარებულ მოვლენების შესახებ.

ნიკა ლალიაშვილი: როგორ ცდილობენ ისინი (იგულისხმება კოლექტიური ნაცები – მ.ს.) რეალობის გამრუდებას – პირველი, პარალელების გავლება 7 ნოემბერთან, 26 მაისთან, 9 აპრილთან გავლებული პარალელიც კი მოვისმინეთ. ჩვენ თუ არ დავუპირისპირდით ამ სიცრუის მანქანას, ყოველ მათ ტყუილზე სიმართლითა და მხილებით არ ვუპასუხეთ, მაშინ ჩვენ დიდ კონტექსტში ვერ დავინახავთ ამ მოვლენებს და ჩავერთვებით ამაში. ნაციონალების მცდელობაა, ხალხისთვის არაიმდენად 7 ნოემბრისა და 26 მაისის ტრაგედიების დავიწყება, არამედ გამრუდდეს ისტორია, დეფორმირება მოხდეს არც თუ ისე შორი წარსულის. არცერთ ამ შემთხვევაში არ ყოფილა პარლამენტის, ან რომელიმე ადმინისტრაციულ შენობაში შეჭრის მცდელობა. ამგვარი მცდელობა საქართველოს ისტორიაში სულ ორჯერ მოხდა, ერთხელ ავტომატებითა და ჰაუბიცებით, მეორედ აწეული ხელებით. რა მოყვა აწეული ხელებით პარლამენტში შეჭრას, კარგად ვიცით, ე.წ. ვარდების რევოლუცია, ანუ სახელმწიფო გადატრიალება. ხალხი აწეული ხელებითა და ვარდებით რომ შეიჭრა პარლამენტში და 20 ივნისისგან განსხვავებით, მაშინ ამაზე რეაგირება არ მოხდა, იმიტომაც დაემხო შევარდნაძის ხელისუფლება. რაც შეეხება სამართალდამცავი უწყებისა და მისი პირველი პირის პასუხისმგებლობას, ყველამ, ვისაც გვისწავლია დასავლურ სამხედრო თუ სპეცსამსახურების სასწავლებლებში, ბრძოლაში ჩართვის, საბრძოლო მოქმედებებში ჩართვის წესების შესახებ. ეს არის ინსტრუქცია, როგორ უნდა მოიქცეს ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომელი თუ ნებისმიერი უნიფორმიანი, როცა ხედავს რაღაცა სახის კანონდარღვევა იქნება, საფრთხე თუ ნებისმიერი ისეთი გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის კანონს ან კონსტიტუციას. „ბრძოლაში ჩართვის წესები“ დარღვეული იქნა თუ არა კონკრეტული ოფიცრების, რიგითებისა თუ სპეცდანიშნულების რაზმის წევრების მიერ, საჭიროებს გამოძიებას. ხსენებულ ფილმშიც ნაჩვენები იყო, რომ სპეცრაზმის რამდენიმე თანამშრომელმა გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას, მაგრამ იმაზე ლაპარაკს, საერთოდ გამოყენებული უნდა ყოფილიყო თუ არა რეზინის ტყვიები, სწორედ მეორე მხარისთვის სასურველ „სპირალში“ შევყავარ თ. თვითონ საკითხის ასე დასმა და კითხვა, უნდა გადადგეს თუ არა გახარია, უკვე პროვოკაციული შეკითხვაა, ისევე, როგორც ის მთავარი კითხვა, ვინ გასცა ბრძანება. ბრძანება გასცა საქართველოს კონსტიტუციამ და პოლიციის შესახებ კანონმა. როდესაც ქუჩაში მიმავალი პოლიციელი, მაგალითად პატრული ხედავს, რომ ადამიანი იჭრება მაღაზიაში, ამტვრევს ვიტრინას, შიგნით შედის და მაღაზიიდან წივილ-კივილი ისმის, მას ჭირდება რაიმე სახის ბრძანება, რომ მყისიერად მოახდინოს რეაგირება? როგორც კი ეს ადამიანი ჩაიცვამს უნიფორმას, მან ზუსტად იცის რომ უნდა ჩაერთოს და როგორ ჩაერთოს. სხვა საქმეა, თუ მოხდა არაპროპორციული პასუხი. ერთი წამით წარმოვიდგინოთ ანალოგიური შეტევა, შტურმი რომ მომხდარიყო აშშ-ში კაპიტოლიუმის ან კონგრესის შენობებზე, გარანტიას გაძლევთ, რომ იქ საპასუხოდ აუცილებლად იქნებოდა გამოყენებული ლეტალური იარაღი. გაიხსენეთ ყვითელი ჟილეტების აქცია საფრანგეთში, სადაც ოთხასამდე ადამიანი დაზიანდა და თუ სწორად მახსოვს, რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. თვითონ იმ კითხვის დასმა, პოლიციას უნდა დაეშალა თუ არა მიტინგი, უკვე მავნებლური შეკითხვაა, ზუსტად აქ არის ჩადებული ის ძალიან იაფფასიანი, ასე ვთქვათ ილეთი, რომელსაც სამწუხაროდ, ჩვენი სენტიმენტალური საზოგადოების დიდი ნაწილი წამოეგო. ჩვენ ხომ ის ხალხი ვართ, ტერორისტის მიმართ რომ გვიჩნდება სენტიმენტები, ყოველთვის დაჩაგრულის, გალახულის მხარეს ვართ. ახლაც 80 პოლიციელია დაზიანებული, მაგრამ სამწუხაროდ, მათ მხარეს არასდროს ვდგებით, ასე ვართ მოწყობილები. საზოგადოებას უჩნდება ეს კითხვები და როგორ არ დავსვათო, უჩნდება კი არა, უჩენენ მედია, ექსპერტები და ა.შ. სამწუხაროა, რომ ორმა ახალგაზრდამ თვალი დაკარგა, მაგრამ 80 პოლიციელი

დაზიანდა და მათ შორისაც დაუზიანდათ თვალი. ეს ორი ახალგაზრდა ხომ უტევდა პოლიციას?

რაც შეეხება ამ კითხვას, გადადგეს თუ არა გახარია. შს მინისტრს პარლამენტის შენობა რომ არ დაეცვა, რაც იყო მისი პირდაპირი ფუნქცია-მოვალეობა, მისი ვალდებულებაა, გახარიას გადადგომა კი არ მოუწევდა, მიშა სააკაშვილი გადააყენებდა მასაც, მთელ მთავრობასაც და ყველას, იმიტომ, რომ პარლამენტის შენობის დაცვის ალტერნატივა იყო მოქმედი ხელისუფლების დამხობა და სააკაშვილის მოსვლა ხელისუფლებაში. ამიტომ ნებისმიერი მსგავსი შეკითხვა არასწორია. მინისტრი გახარია ახლა კი არ უნდა გადადგეს, იმ შემთხვევაში უნდა გადამდგარიყო, თუ ის ვერ დაიცავდა საქართველოს პარლამენტის შენობას. მაშინ მარტო გახარია კი არ გადადგებოდა, დაიშლებოდა ეს ქვეყანა.

ვალერიან გორგილაძე (სოციოლოგი): გახარიას რომ ებრძვიან ეს ბუნებრივიცაა, ხომ ვხედავთ, ქვეყნის მთავარი პრობლემა უსაფრთხოებაა. გავრილოვის გვარი ვახსენეთ, პროტესტის მიზეზი თურმე ის გახდა. მერწმუნეთ, არ იქნებოდა გავრილოვი, იქნებოდა ჩერენკოვი ან კრიშნაიდებისა თუ კონსერვატორების კონგრესი, ან გეი-აღლუმი, ანდა ელექტრონული მუსიკის ფესტივალი. ჩვენ ძალიან სახიფათო ფაზაში შევდივართ, სადაც გეოპოლიტიკური დაპირისპირება მიმდინარეობს, რამდენიმე ქვეყნის ინტერესი იკვეთება, რამდენი ქვეყანაა დაინტერესებული დესტაბილიზაციით. ვინ არის დღეს ქვეყანაში უსაფრთხოების გარანტი? რა თქმა უნდა შს მინისტრი გახარია, ამიტომაც ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო მისი, როგორც პოლიტიკური ოპონენტის, ძლიერი ლიდერის, ეფექტური მინისტრის, პოლიტიკოსის, რომელიც მოსახლეობაში ნდობით სარგებლობს, გადაყენება, მოშორება. სხვათა შორის, მათ ნაწილობრივ შეასრულეს თავიანთი ამოცანა, იმიტომ, რომ ეკონომიკა დაზარალდა, ვხედავთ ლარის დევალვაციის პროცესს, ტურისტულმა ინდუსტრიამ ზარალი განიცადა. მე არ ვიცი, როგორ შეიძლება მოხდეს ახლა ამის კომპენსაცია, არ დაგვავიწყდეს, რომ უამრავ ადამიანს კრედიტი აქვს აღებული, იგივე აჭარაში სასტუმროები კრედიტითაა აშენებული. თუ რუსი ტურისტების ხარჯზე სასტუმროს ნომრები ოქტომბრის თვემდე იყო დაჯავშნული, დღეს მხოლოდ 15 ივლისამდეა. ეს უზარმაზარი დარტყმაა სხვა დარგებზეც, რომლებიც მიბმულია ტურიზმზე და ვინ აგებს ამაზე პასუხს? პოლიტოლოგიის სახელმძღვანელოებში წერია, რომ პოლიტიკური პარტიის მიზანი არის იმ სოციალური ჯგუფისა თუ ფენის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების აგრეგაცია, რომელსაც წარმოადგენს. ჩემთვის მთავარი კითხვაა, რომელი სოციალური ჯგუფებისა და კლასების ინტერესებს იცავს „ნაციონალური მოძრაობა“ ან „ევროპული საქართველო“, თუკი მათ არ აინტერესებთ არც ფერმერის, არც მცირე და საშუალო ბიზნესმენის ბედი და სხვათა შორის, არც მსხვილი ბიზნესის ინტერესები?! ესენი არიან აბსოლუტურად ირაციონალური ძალა, რაც მაშინაც გამოჩნდა, როცა რეჟისორმა რობიკო სტურუამ თქვა, სამწუხაროდ, ნაციონალები ბრუნდებიან საქართველოშიო. მე მაშინვე მივხვდი, რომ მან დოსტოევსკის უკვდავ რომანზე „ეშმაკნი“ მიანიშნა, ეშმაკების დაბრუნებას გულისხმობდა, ვინაიდან ცოტა ხნის წინ რაღაც ორგანიზაციამ დააანონსა აქცია, „ვაჭამოთ რობიკო სტურუას ბორში“. ეს კარნავალიზაცია, პერფორმანსების მოწყობა არის იმ ძალის ეგზისტენცია, რომლის პოლიტიკური ლოზუნგია, რაც უარესია ქვეყნისთვის, მით უკეთესია ჩვენთვის, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლიათ მათ რევანშის განხორციელება.

რაც შეეხება ხელისუფლების პასუხისმგებლობას, როდესაც ნაციონალი სალომე სამადაშვილი დასდევდა გიორგი გახარიას, მინისტრმა თქვა, რაც არ უნდა მოხდეს ამ ღამეს, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ეს იქნება უბედურებაო. უბედურებას, ალტერნატივად მხოლოდ კატასტროფა ჰქონდა, რადგან პარლამენტის აღება რა თქმა უნდა, ქვეყნის კატასტროფაა.

რუსეთთან ურთიერთობის ესკალაცია, ქვეყნის ეკონომიკის დაქცევა, გიორგი გახარიას გადაყენება და რატომაც არა, სახელმწიფო გადატრიალების განხორციელება. საქართველოში გაჩნდა რამდენიმე პარტიული ტელევიზია, ასე რომ საოცარი ქვეყანაა, განსაკუთრებით იმით, რომ საქართველოში იდეოლოგიურ დისკურსს ყველაზე მკაფიოდ ერთი პოლიტიკური ძალა, „გირჩი“ ქმნის, მერე უკვე „ევროპული საქართველო“, ნაცმოძრაობა და „პატრიოტთა ალიანსი“. ცხადია, „ქართულმა ოცნებამ“ უნდა მოახდინოს „კრისტალიზაცია“, მათ შორის, შეიძინოს იდეოლოგიური ვექტორი. ახალგაზრდობის ნაწილმა უნდა იცოდეს, რომ გასაგებია მათი კეთილშობილური წადილი, აბსოლუტურად გულწრფელი პატრიოტიზმი, მაგრამ ამით, როგორც წესი, სწორედ რომ ნაძირლები სარგებლობენ.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნული არეკლამო მასალები.

1 გვ.

დაქვემდებარებული იდეოლოგიური დესანტია, ცხადია, ადვილად სამართავი და ადვილად მოსატყუებელია.

ეს ის თაობაა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს 10–12 წლისა იყო და, ცხადია, საომარ მოქმედებებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, თუმცა მათ ახსოვთ და იციან, რა ომი იყო ეს და ვისთან იყო.

„ნაცმოძრაობამ“ გადაწყვიტა, აი, ეს თაობა „გაეწვია“ ოკუპანტების წინააღმდეგ „ომში“ და ისინიც ენთუზიაზმით დათანხმდნენ...

ესენი მოდელირებული ჯარისკაცები არიან იმ დაუმთავრებელი ომისა, რომელიც ყველა ჩვენგანის და მათ შორის ამ ახალგაზრდების გულსა და გონებაში დღემდე გრძელდება და გაგრძელდება, სანამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღსდგება.

რუსთაველზე, პარლამენტის წინ „ნაცებმა“ და „ევრონაცებმა“ ოკუპანტთან ომი დაუდგეს ამ ახალგაზრდებს და სამშობლოს დასახსნელად და გადასარჩენად წინ, შეტევისკენ მოუწოდებს და ისინიც მიდიან წინ, თუმცა წინ არაფერი არ არის, წინ მხოლოდ ჰაერის კედელია, კედლის მიღმა კი გახარიას ლანდის კონტურები ჩანს, ბაცად.

ვინ აუხსნის და ვინ გააგებინებს ამ ახალგაზდა ჯარისკაცებს, რომ მთავარსარდლებს, რომლებიც ოკუპანტის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებენ, ძვირფასი ევროპული კოსტიუმების ქვეშ სწორედ რომ ოკუპანტი ქვეყნის საიდუმლო სამსახურების „პაგონები“ უბრჭყვიალებთ.

ვინ აუხსნის და ვინ გააგებინებს ამ ჯარისკაცებს, რომ რუსთაველის პროსპექტზე გამართული ამ „ომით“ ოკუპანტს არაფერი დაკლებია, მაგრამ იმ ზარალის და ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მათ სამშობლოს მიადგა, წლები დასჭირდება.

დრო გავა, ეს ახალგაზრდები დაკაცდებიან, დაბრძენდებიან და აუცილებლად მიხვდებიან, რომ თავისუფლება ის კი არ არის, ერთი უღლიდან გაითავისუფლო თავი და მეორე უღელში შეჰყო, თუნდაც ეს უღელი ოქროსი იყოს...

გასული საუკუნის 90-იან წლებში, მაშინ, როცა სსრკ-ის რღვევის პირველი ნიშნები გამოჩნდა, ერთი უცნაური კაცი გამოჩნდა ასპარეზზე, გვარად კაშპიროვსკი, რომელიც მასობრივი ჰიპნოზის სეანსებს უტარებდა ადამიანებს.

ის კაშპიროვსკი მალევე გაუჩინარდა, მაგრამ დღეს სხვა კაშპიროვსკები გამოჩნდნენ, რომლებიც ტელეეკრანებიდან თუ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებიდან, იგივეს აკეთებენ, რასაც ის ეშმაკთან წილნაყარი კაშპიროვსკი აკეთებდა.

20–30 ივნისის აქციებს რომ ვაკვირდებოდი, აშკარად ჩანდა

პატრიოტულ მოტივებზე აგებული და პატრიოტული თემატიკით გაჯერებული ამ მასობრივი ჰიპნოზის კვალი, რომელიც თანდათან გადაიზარდა მასობრივ ფსიქოზსა და ისტერიაში, ხოლო იქ, სადაც ფსიქოზი და ისტერიაა, ადგილი არ რჩება პატრიოტიზმისთვის, რადგან პატრიოტიზმი, პირველ რიგში, პასუხისმგებლობას ნიშნავს.

არ დავანებოთ ამ ლამაზი და ჯიშიანი ახალგაზრდების სულები ახალი დროის კაშპიროვსკებს — საკაშვილებს და ბოკერიებს, სამადაშვილებს და ბოკუჩავებს, გვარამიებს და კვესიტაძეებს, ბაქრაძეებს და გრიგოლიებს, რულოვსებს და ვაშაძეებს, უგულავებს და ოქრუაშვილებს, სანიკიძეებს და მშვილდაძეებს — მოღალატეებს და ქვეყნის გამყიდველებს.

●

რუსთაველზე აქციები გრძელდება. აქციის მონაწილები კვლავ და კვლავ გიორგი გახარიას ითხოვენ და ამ მოთხოვნის საფუძვლად გახარიას მიერ მომიტინგეთა დაშლის დროს ძალის გადამეტებას მიიჩნევენ, თუმცა ესენი, თითქმის იგივე შემადგენლობით, გახარიას გადადგომას მოითხოვდნენ ერთი თვის, ნახევარი წლის, ერთი წლის წინათაც, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ეს სუფთა ენერგიის და სამშობლოსადმი გულწრფელი სიყვარულით გულანთებული ახალგაზრდები, როგორც მათ უწოდებენ ფარისეველი კაშპიროვსკები, არც ისეთი სუფთა ენერგიის და არც დიდად გულწრფელები არიან — ისინი ვიღაცის თუ ვიღაცების პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებენ.

აქციის მონაწილეთა ნაწილი შეიძლება ამას სრულიად გაუცნობიერებლად, ბრმად და გულუბრყვილოდ აკეთებს, მაგრამ როგორც ვთქვით, მეორე ნაწილი აშკარად შეკრულია „ნაცმოძრაობასთან“, „ევროპულ საქართველოსთან“ და მათ პოლიტიკურ მიზნებს და ამოცანებს ემსახურება.

მივმართავ აქციის იმ მონაწილეებს, რომლებიც ვერ ხვდებიან, რა ბინძურ თამაშში ჩაითრიეს ისინი ამ ათას მიკროფონზე გადამხტარმა პოლიტიკოსებმა და მათმა პოლიტიკურმა კინტოებმა, მათმა ხელისბიჭებმა — თქვენ დღეს გაბრაზებული ხართ გიორგი გახარიაზე, მაგრამ ბრაზი რომ გაგივლით, აუცილებლად მიხვდებით: გახარიამ თქვენ ისეთ განსაცდელს გადაგარჩინათ, რომ მასზე კი არ უნდა ბრაზობდეთ, მისი მადლობელი უნდა იყოთ მთელი ცხოვრება.

იმით, რომ პარლამენტში შეჭრის საშუალება არ მოგცათ, გახარიამ თქვენ მრავალწლიანი პატიმრობა აგარიდათ თავიდან.

ხვდებით თქვენ ამას, ძვირფასო ახალგაზრდებო?

ახლა თუ ვერ ხვდებით, დრო მოვა და აუცილებლად მიხვდებით!

●

რა ხდება პარლამენტის შენობის წინ? რატომ იქცა ეს ადგილი ისეთ ადგილად, სადაც დროგამოშვებით მასობრივი ფსიქოზი წამოგვივლის ხოლმე და მერე კარგა ხანს ვერ ვწყნარდებით.

— იმ ადგილას, სადაც პარლამენტის შენობა დგას, ადრე ეკლესია იდგა, რომელიც კომუნისტებმა დაანგრიეს. ფუნიკულიორზე რომ რესტორანია, იმ შენობას ურევია ამ ეკლესიის ქვები.

სანამ ეს ქვები თავის ადგილას არ დაბრუნდება, არ დაწყნარდება იქაურობა, — ამბობს მამა გაბრიელი.

ამ ადგილას დაიღვარა იუნკრების სისხლი...

აქ დაიღვარა 9 აპრილის მსხვერპლთა უმანკო სისხლი...

სხვა დროსაც ბევრი სისხლი დაიღვარა აქ...

ბევრი რისხვა და სიძულვილი ტრიალებს აქ, წლების განმავლობაში ერთმანეთს რომ ემატებოდა და ემატებოდა.

ამიტომ ხომ არ გვემართება რაღაც უცნაური მეტამორფოზა აქ მოსულებს, მეტამორფოზა, რომელიც სიგიჟის ან შიზოფრენიის ელემენტებს შეიცავს.

ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ ადგილი პარლამენტის წინ საქართველოს ბერმუდის სამკუთხედად იქცა, სადაც დიდი ხანია იძირება ქვეყნის ნორმალურად განვითარების პერსპექტივა.

როდემდე შეიძლება ეს ყველაფერი გაგრძელდეს?

ვახტანგ ხარჩილავა
593 44 04 01

პოლიტიკური სანეხვეთი...

არცერთ ე.წ. ოპოზიციის ლიდერს, მთლიანად საქართველოში, განსაკუთრებით კი- სამეგრელოში დატრიალებული უბედურების, უზნეობის, სიბილწისა და გათახსირებული ქმედებების გამო, პროტესტს ვინ ამბობს, თანაგრძნობაც კი არ გამოუხატავს — ნაც-ბანდიტების მიერ გაბახებულ- გაუპატიურებული ადამიანების, ნაწამებ- ნაგვემი, უმიზეზოდ, პოლიტიკური შეხედულებისა გამო დახვრეტილი და გაუბედურებული მოსახლეობისთვის და დღეს დგანან და უტიფრად აპროტესტებენ მათივე ავანტიურით განხორციელებული საწუხილო ქმედების შედეგს!!!

თქვენ ხომ ხალხი არა ხართ, თქვენ ხომ ღირსებისა არა გცხიათ რა, თქვენ ხომ ადამიანურობისა არაფერი გესმით... სატანის უბედურებით გალიზღებულ- გასისხლიანებული გზით გინდათ ქვეყანა ჯოჯოხეთამდე ატაროთ!!!

თქვენ და თქვენისთანებმა მოინელეთ ეროვნული ხელისუფლება, ტყვია დაახალეთ საქართველოს პირველ პრეზიდენტს, სანთელივით წმინდა და სამშობლოსა და მშობელი ხალხის სიყვარულს ზვარაკად შეწირულ ზვიად გამსახურდიას!!!

თქვენ ჩაატარეთ "პრიხვატიზაცია"- პრივატიზაციის ნაცვლად, კაპიკებად ჩაიგდეთ ხელში ხალხის ქონება, გაანიავეთ და მიწასთან გაასწირეთ სამამულო მეურნეობა თუ წარმოება, ბრძოლა გამოუცხადეთ ყოველივე ქართულს და დღეს ასე გაბღენძილ-გახუზებულნი — ახალი უბედურების მოსაწყობად ემზადებით!..

თქვენ არ მოაწყვეთ "არტისტული გადატრიალება" თქვენს სულიერ ლიდერ შევარდნაძესთან ერთად და თქვენ არ გქონდათ მსახიობების, რეჟისორებისა თუ კომპრომირებუV ლი, "სუკის" ნომრებიანი აგენტების მთავრობა?! რა შემატეთ ქვეყანას გარდა იმისა, რომ დაკარგეთ აფხაზეთი, სამაჩაბლო, გააჩაღეთ ინპირირებული ომი თქვენს საყვარელ იმპერიასთან შეთანხმებით და მერე გარიგებისამებრ, მომხდურის მხარეს დადექით "შირაკა სტრანა მაია რადნაია-ს"- ღურჭულით. მილიონობით ადამიანი დატოვეთ ყოველგვარი ეროვნული სიკეთისა და დოვლათის გარეშე!..

თქვენ ხართ ჟურდები, ყაჩაღები და ფამლეტები! აკი თქვენი იდეებისა და მენტალობის შვილობილი გახლდათ "მხედრიონი"- სადაც თითო- ოროლა პატრიოტი და გულანთებული ბიჭის გარდა, თავი მოიყარეს კრიმინალებმა, ნარკომანებმა, ნარკობარიგებმა, ოროსნებმა, ნაძირლებმა და გათახსირებულებმა, რომლებმაც გადაწვეს და გადაბუგეს, დალაშქრეს და გაძარცვეს აფხაზეთი და სამეგრელო, ცოდვის კალო დაატრიალეს ყველგან, სადაც კი შეინაბიჯეს და ყველაფერ ამას ტაშის გრიალითა და "ჯაბა- ჯაბუკას" შემახილებით ხვდებოდით, თავადაც საპატიო თუ ქმედითი მხედრიონელები...

თქვენ კაუკეთეთ პერიფრაზი, უგუნურ და უცოდინარ სამეგრელოზე დაგეშილ ვირგლებს:

"ქართლ — კახეთი, იმერეთი,
გურია და რაჭა,
ყველა ჩემი სამშობლოა
სამეგრელოს გარდა!.."- აი, ასეთი ქვეყნის შენებას ჩაუყარეთ საფუძველი, აი, ასე ანაწევრებდით და ასხვისებდით ქვეყანას!

თქვენ ხართ სახელმწიფო გადატრიალების მომწყობი, საქართველოს დამქცევი პუტჩისტები და ახლაც იგივე მეთოდებით აპირებდით ძალაუფლების ხელში ჩაგდებას!

თქვენთვის ხომ სულერთია ხალხი და ქვეყანა, მამაულ- დედულის "გრძნობა გასაკვირველი", თქვენი სწრაფვა მარადისად საკუთარი კეთილდღეობის ძიებაა, მხოლოდღა საკუთარი სტომაქისა და ოჯახური ბედნიერების ვიწრო "ფილოსოფიური" ხედვით...

თქვენ მოგბაძათ გიჟმა და მოღალატე სააკიანმა და უწინარესად თქვენთან ერთად უყელა სამეგრელოს და ყველაზე ძვირფასი "ძარღვი" გაუწყვიტა- "კასტილებიანი კაცის" ღურღუნცით!!!

მიმიფურთხებია თქვენი არსებობისთვის...

სძულხართ ხალხს, ეზიზღებით — იმ ყველაფრისა გამო, რაც დააწიეთ და მიუნაგრეთ ამ გასაცოდავებულ, ღალატითა და მსტოვრობით სულამოხდილ ბედკრულ საქართველოს...

თქვენ, თანამედროვე ყორღანაშვილები და ბერბიჭაშვილები ხართ, სიკვდილისა და უბედურების მომასწავლებელნი ამერ- იმერისთვის, ზოგადქართული ცნობიერებისთვის!

ახლაც, ალალი და პატიოსანი მღელვარება წრფელი ხალხისა სათქვენოდ მოატრიალეთ და საზოგადოება კვლავაც არაცნობიერი აქტიორის როლში ჩააყენეთ, რომელიც ახალი უბედურების მომასწავებელია და სხვა არაფერი.

საპროტესტო აქცია- პოლიტიკურ "აქციონერთა" კრებად აქციეთ...

ღმერთი თქვენ არა გწამთ და ხალხი, გადაშენდით, გადაბუგდით და აღროვეთ ქვეყანას ამოსუნთქვა, სიკეთის მომზერება... ეს რა ტკივილად და სარკომად მიეწილეთ სამშობლოს ჩემსას!

თქვენი ნაგრამი მებრალება, თქვენს მიერ ამყროლებული პოლიტიკური სანაგვის ხილვა რომ მოუწევთ და თქვენს მიერ მოკბეჩილ ტყემლის ქურქუნწა ნაყოფზე რომ მოიჭრიან ქათქათა კბილებს!..

ჯანდაბამდეც გეძონიათ გზა და საბადებელი!..

ლაშა გვასალია

უმადურობის სინდრომი

ჰოდა, ახლა პირდაპირ გეუბნებით, ბატონო ბიძინა, თქვენ მხოლოდ უმადურების კი არა, მოღალატეებისა და მედროვეების გარემოცვაში ხართ

წერილი მეთერთმეტე

ბატონო ბიძინა, წინა წერილშიც გითხარით და კიდევ ვიმეორებ, თქვენს პარტიაში (საპარლამენტო უმრავლესობაში) ფარული „ნაცია“. მრჩება შთაბეჭდილება, როცა 2016-ში საპარლამენტო სია გებოდა, მომავალი დეპუტატების ბიოგრაფიებს ან არავინ ამოწმებდა, ან კიდევ სპეციალურად მოჰყავდათ ისეთები, რომლებიც 2019 წელს შიგნიდანვე დაანგრევდნენ „ქართულ ოცნებას“. მაგალითისთვის მოგიტანთ ერთ ფაქტს: როგორც იცით, ავანტიურისტ ნიკანორ მელიას, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებას აპირებდა, პარლამენტმა მოუხსნა იმუნიტეტი. თუ მანამდე უმრავლესობის ყველა წევრი ერთხმად აცხადებდა, რომ გადატრიალების მცდელობისთვის ყველა დამნაშავე მკაცრად უნდა დასჯილიყო (ამის თაობაზე თქვენც განაცხადეთ), როცა საქმე საქმეზე მიდგა, უმალ გამოჩნდნენ გულაჩუყებულნი და სენტიმენტალიზმით შეპყრობილნი. „ქართული ოცნებიდან“ გაქცეულები რომ პირდაპირ „ნაციონალების“ წისქვილზე ასხამენ წყალს, ეს გასაგებია, მაგრამ თვით უმრავლესობის წიაღშიც აღმოჩნდნენ ისეთები, რომელთა ლუსტრაცია ახლაღა მოხდა. მაგალითად, თქვენგან ხელდასმულმა დეპუტატმა **მარიამ ჯაშმა**, განაცხადა, ნიკანორ მელიასთვის იმუნიტეტის შეჩერების საკითხს ორი პრინციპის გამო არ მივეცი ხმა, პირველი პრინციპი პარლამენტარიზმი და თავად პარლამენტის წევრის იმუნიტეტის პატივისცემაა, მეორე კი ის, რომ პირადად საკმარისი არგუმენტები ვერ მივიღეო. შემდეგ კი დაამატა, დედამთილმა დამირეკა და საბოლოოდ ასეთი გადაწყვეტილება მაინც მისი ხათრით მივიღეო. მეორე დღეს, როცა იგრძნო, ამის გამო შეიძლება გუნდში დამსაჯონო, რომანტიკაში გადავარდა და დაიწყო, ვფიქრობ, განსხვავებული აზრი გუნდს უფრო აძლიერებსო. არადა, უნდა ეთქვა, დედამთილის განსხვავებული აზრი გუნდს აძლიერებსო. ვერ მიიღო ქალბატონმა საკმარისი არგუმენტები, ვერ აღიქვა, როგორ აქეზებდა გადარეულ მასას მელია, როგორ მოუწოდებდა, შეჭრილიყვნენ პარლამენტში. ვერ აღიქვა, ვერ გააცნობიერა, ვერ ჩასწვდა, ვერ განასხვავა ერთმანეთისგან 2007–2011 და 2019 წლები. ვერც განასხვავებდა, ბატონო ბიძინა, რადგან როცა ჩვენ საკაშვილის დამპალ რეჟიმს ვებრძოდით, ის (2011 წელს) ჰარვარდში სწავლობდა და სანდრა რულოვსი აფინანსებდა. როგორც მის საახლობლოში ამბობენ, მარიამი არც სკოლაში გამოირჩეოდა დიდი ნიჭიერებით და არც სამედიცინო სკოლა „იეტში“, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც მშვენივრად იყენებენ ცხოვრებისეულ მომენტებს. ბატონო ბიძინა, 2012-ში ჯაშებისა და შაფათავების ოჯახში მიხვდნენ, რომ თქვენამდე მოღწევა იყო საჭირო, მაგრამ ვერ მოაღწიეს, ბევრმა ე.წ. შუამავალმა უარი თქვა თქვენამდე მარიამ ჯაშის მოყვანასა და რეკომენდაციის გაწევაზე, რადგან ყველა იცნობდა როგორც სანდრა რულოვსის პროტეჟეს. თუმცა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ეს მაინც მოხერხდა, ამირან გამყრელიძემ უშუამდგომლა. ეს ის ამირანია, ადრე, 2004 წლამდე ჯანდაცვის მინისტრი რომ გახლდათ და მერე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორად დანიშნეთ. ბატონ ამირანთან პრეტენზია არ მაქვს, „ნაციონალი“ არასდროს ყოფილა, მაგრამ სანდრას აღზრდილი კი კარგად შემოგატყუათ. გაიგონეთ, ბატონო ბიძინა? დედამთილმა მთხოვა, მელიას წინააღმდეგ ხმა არ მისცეო და იმას დავუჯერეო, შემეცოდაო, თან სარწმუნო არგუმენტები ვერ მივიღეო. სხვათა შორის, მაქვს გონივრული ეჭვი, რომ მარიამ ჯაშს დედამთილმა კი არა, სანდრამ სთხოვა, მისმა დამფინანსებელმა და პატრონმა. მოდით, ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ: იცით, რატომ დაიჭირა თავი შორს უმრავლესობის დეპუტატმა მარიამ ჯაშმა კრიტიკულ მომენტში? როცა **ეკატერინე ტიკარაძე** დაინიშნა ჯანდაცვის მინისტრად, სადღაც გულში არ ესიამოვნა, თითქოს დარწმუნებული იყო, რომ ამ თანამდებობას მას შესთავაზებდნენ. ამიტომაც აუგორეს ტიკარაძეს ჭორი, ეგ ეკა ხვედელიძის დაქალია და ამიტომაც დანიშნეს მინისტრადო, ასე როგორ შეიძლებაო? ისე, რაღა დაგიმალოთ და... სანდრა რულოვსის დაქალობას ნამდვილად სჯობს ეკა ხვედელიძის დაქალობა.

მეორე ადამიანი, რომელიც თქვენი გუნდის წევრია, რომელიც ასევე თქვენი ხათრით ავირჩიეთ და რომელმაც ასევე თავი შორს დაიჭირა ნიკანორ მელიას საკითხში, არის ვინმე **რომან კაკულია**. მე არ ვიცი, რა დამსახურებისთვის დააწინაურეთ ეს კაცი, ძალიან ჭკვიანია და თავგამოდებით იბრძოდა უსამართლობის წინააღმდეგ? ვინ მოგიყვანათ, ვინ გაგაცნოთ და იმ ვიღაცამ რანაირად დაგიხატათ მისი ბიოგრაფია? არადა, მის გაცნობას „გუგლში“ მხოლოდ ერთი დაწკაპუნება სჭირდებოდა: 2006 წლიდან ის იყო ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში, ევროკავშირის პროგრამების კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსად. ამოცანა გვეკითხება: ვინ იყო ამ დროს ამ კუთხით სახელმწიფო მინისტრი? გია ბარამიძე, აფრასიძეების მჟლეტავ-მბომბავი და ერთ-ერთი დიდი კრიმინალი საქართველოს ისტორიაში. ესე იგი, ბატონი რომან კაკულია 2006 წლიდან გახლდათ გია ბარამიძის ხელქვეითი და დიდი სიამოვნებით „აპრავებდა“ საკაშვილის რეჟიმის ყველა დანაშაულს. „აპრავებდა“ რა, ვინც მაშინ ჩუმად იყო და ხელფასს არხეინად იღებდა, მე ყველა ვირეშმაკა მგონია. **ჰოდა, ახლა პირდაპირ გეუბნებით, ბატონო ბიძინა, თქვენ მხოლოდ უმადურების კი არა, მოღალატეებისა და მედროვეების გარემოცვაში ხართ**. აბა, ნახეთ, როგორც კი უგვანოთა ერთმა ხროვამ აქციები წამოიწყო, თქვენგან გაქცეულები, თქვენგან ნახეირები ნახირი ეგრევე შეუერთდა. აგერ, **ფინასფარმეტყველი ხუხა** გიცხადებთ, მე მზად ვარ მივიდე მასთან (ბიძინა ივანიშვილთან), ჩავკიდო ხელი, ვაჩვენო გზა, ერთად გავიაროთ და ერთად ვიმღეროთ გედის სიმღერაო. უკაცრავად, მაგრამ **თუ ხუხამ დაგირეკათ და ხელის ჩაკიდება მოგთხოვათ, გადაეცით, სანამ სოლოლაკში ამოვა, შემოიაროს ჩემთან და ჩამკიდოს ხელი ერთ ადგილას!**

სამწუხაროდ, ბატონო ბიძინა, საქართველოში ისეთი რაღაცები ხდება, არც თვალებს ვუჯერებ, არც ყურებს. სამწუხაროდ, „ნაციონალები“ ყველანაირად ცდილობენ, საზოგადოების ცნობიერება დაამახინჯონ. ისედაც დამახინჯებულია, მაგრამ ცდილობენ, თავიანთ აზროვნებას, ანუ უკუღმართობას მოარგონ. მოდით, ვნახოთ, როგორ ინაზებიან ნამდვილი ჯალათები:

ბრიგოლ ვაშაძე: „წინა ხელისუფლების დროს დემონსტრანტებს რეზინისა და პლასტიკურ ტყვიებს თავში არავინ ესროდა, არავინ წამლავდა გაზით ისე, როგორც ახლა მოხდა“.

სანდრა რულოვსი: „გაოცებული ვარ, რა გააკეთეს და რა რეზინის ტყვიები გამოიყენეს“.

გიორგი მარგველაშვილი: „საქართველოს ისტორია იწერება ყველაზე ამაყი ფრაზით: „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი„... აი, ასე იწერება ეს ისტორია, რომელიც იქნება ძალიან კარგი. ძალიან მტკივნეულია, რომ ეს ისტორია იწერება სისხლით. ჩემი ერთი მეგობარი გარდაიცვალა ცოტა ხნის წინ, ის აქ იქნებოდა და მისი ერთ-ერთი საყვარელი ფრაზა იყო, რომელიც ცოტა მაშინებდა ყოველთვის, მაგრამ ძალიან ძლიერი ფრაზაა, რომ თავისუფლების ხე დროდადრო უნდა იყოს მორწყული პატრიოტთა სისხლით“.

დავით ბერძენიშვილი: „ბიძინას ჩემთან არ მოესვლება“.

სხვათა შორის, მარგველაშვილი იმაზე კეთილმოტ...ნული ყოფილა, ვიდრე მეგონა. ხედავთ, როგორ მოუწოდებს აქციის მონაწილეებს სისხლისღვრისკენ? ესეც თქვენი ჰუმანისტი პრეზიდენტი!

მე მესმის, თქვენ არ ხართ ნათელმხილველი, რომ ყველაფერი წინასწარ განჭვრიტოთ, ეს შეუძლებელია, მაგრამ იმის გაკეთება მაინც ხომ შეგიძლიათ, სანდრა რულოვსისა და გია ბარამიძის პროტეჟეები პარლამენტში არ წამოასკუპოთ და ნაომარ ხალხს შეურაცხყოფა არ მიაყენოთ? კი, შეგიძლიათ და ასეც უნდა მოიქცეთ მომავალი არჩევნებისას. მაპატიეთ, შეგიძლიათ და ასეც უნდა მოიქცეთ მომავალი არჩევნებისას. მაპატიეთ, მაგრამ მაგ „თქვენმა“ კვირიკაშვილმა ნაგავით აავსო არა მხოლოდ პარლამენტი, სამინისტროებიც და ადგილობრივი თვითმმართველობებიც. ამაზე წინა ნომერში დავწერე, თავს აღარ შეგაწყენთ.

მოღალატეთა გალერეა

ბატონო ბიძინა, შეიძლება ვცდები, მაგრამ თქვენს ადგილზე რომ ვიყო, სასწრაფო წესით დავნიშნავდი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს და ყველა მაიმუნს მოვსვამდი თავის ადგილას. თან ისე გავცხრილავდი „ოცნების“ სიას, ერთი „ნაციონალიც“ ვერ შემოფრინდებოდა გუნდში და ამ საქმეს დავავალებდი ირაკლი ღარიბაშვილს.

არ გადააყენოთ გიორგი გახარია, ეს ამ ჩათლახების მორიგი ფანდია. შემდეგ უფრო მოითხოვენ მეტს, ანუ მთავრობის გადაყენებას!

პატივისცემით,
გელა ზედელაშვილი

დესტრუქციულ ძალებს ახალი ფერადი რევოლუციის მიწყობა სურთ, რაც ქართულ სახელმწიფოს საბოლოოდ დაანგრევს...

გვესაუბრება ისტორიკოსი, ანალიტიკოსი,
სოსო მანჯავიძე

— ბატონო სოსო, ყველაფერი დაიწყო გავრილოვის გაძევებით და მივედით გახარიას გადადგომამდე. რა ხდება, რას გვეტყვით?

— თავიდან დავიწყებ.

ივნისის თვის თითქმის ყოველი დღის განმსაზღვრელი იყო ერთი საკითხი — ლგბტ კვირეულის თემა. მოგეხსენებათ, რომ აშშ-ის დემოკრატიული პარტიის უკიდურესად რადიკალური ფლანგის — სოროსის მთავარი იდეოლოგიური მარკერი, დოგმა, რატომღაც არის ეს საკითხი. ობამას პრეზიდენტობისას, როცა ჰილარი კლინტონი აშშ-ის სახელმწიფო მდივანი გახლდათ, ამ სახელმწიფოს მხარდაჭერა სხვა ქვეყნებისადმი გამოიხატებოდა სწორედ იმაში, რამდენად გულდასმით ახორციელებდნენ ეს ქვეყნები აშშ-ის იდეოლოგიურ შეკვეთას ლგბტ თემის მხარდაჭერისა და პროპაგანდის თვალსაზრისით.

დღეს დონალდ ტრამპია ამერიკის პრეზიდენტი. ყველას გვახსოვს მისი განცხადება, ამერიკა ამიერიდან აღარ მოახვევს თავს თავის იდეოლოგიას მესამე ქვეყნებსო. არადა, საქართველოში სწორედ აშშ-ის საელჩო იყო, ვინც პირდაპირ ზეწოლას ახორციელებდა, ჩაეტარებინათ ლგბტ კვირეული კავკასიის ცენტრში.

უკვე ცნობილია ისიც, რომ დიღომში, აშშ-ის საელჩოში, შედგა შეხვედრა, სადაც საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს მთავრობის, სხვადასხვა საელჩოებისა და საპატრიარქოს წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი სათათბიროდ. ამ შეკრებაზე კატეგორიულად მოითხოვეს ამ კვირეულის ჩატარება, რაზეც, როგორც საპატრიარქომ, ასევე სხვა დენომინაციებმა სასტიკი უარი განაცხადეს.

იმედი გვქონდა, ტრამპის მოსვლით შეწყდებოდა ამ უკულმართობების დაფინანსება, მაგრამ ასე არ მოხდა, არ შეწყდა სოროსოს ძირგამომთხრელი საქმიანობა, პირიქით, მოვიდა ფული, ხოლო ფულზე ისეთი ყნოსვა აქვთ ჩვენს პოლიტიკურ პარტიებს, ზვიგენსაც კი შეშურდება.

ამავე დროს, ამ ამბებთან დაკავშირებით, თბილისში ჩამოვიდა ბაიდენის ცენტრის ხელმძღვანელი მაიკლ კარპენტერი.

ჯო ბაიდენი, მოგეხსენებათ, ტრამპის შესაძლო მოწინააღმდეგეა მომავალ არჩევნებში.

მაიკლ კარპენტერმა პირდაპირ თქვა: რუსეთიდან ჩამოსული ტურისტები არიან **ФСБ**-ს თანამშრომლები და არის საფრთხე, რომ ნელ-ნელა დაიკარგება საქართველოო.

კარპენტერი, რა თქმა უნდა, შეხვდა თბილისში თავის „მეგობარ“ ნაცებს, ევრონაცებს და მათ პოლიტიკურ მომყოლებს.

— ბატონო სოსო, კარპენტერი ბაიდენის თანამებრძოლი გახლავთ, ანუ ტრამპის მოწინააღმდეგე, საქართველოს მთავრობას როგორ აძლევს მითითებებს?

— ტრამპის ადმინისტრაციას აქამდე, რატომღაც, არ შეუმუშავებია ახალი ტიპის ალგორითმი, როგორ განახორციელოს თავისი ინტერესები ბაიდენის დემოკატიული ქსელის გარეშე.

როგორც ზემოთაც ვთქვი, აშშ-ის დემოკრატიული პარტიის უკან დგას ჯორჯ სოროსი თავისი ფინანსებით, რაც მოიცავს მთელ ქართულ მედიას (რომელსაც აფინანსებს სწორედ აშშ-ის დემოკრატიის განვითარების ცენტრი), განათლების სისტემას, არასამთავრობოებს, ამ არასამთავრობოებიდან მთავრობაში ჩანერგილ კადრებს, თვით აშშ-ის საელჩოს საქართველოში და ა. შ.

უფრო ნათლად გეტყვით: ტრამპი დაუპირისპირდა გლობალიზმს, მაგრამ აშშ კვლავ რჩება გლობალისტების შტაბ-ბინად. ისინი დღემდე პირდაპირ უპირისპირდებიან ტრამპს სხვადასხვა მიმართულებით. ამ ბოლო ხანს 25 წლის წინ ამერიკელი მწერალი ქალის ვითომდა გაუპატიურებაში დასდეს ბრალი.

— კარპენტერის ვიზიტს დავუბრუნდეთ.

— რისხვა გამოიწვია იმან, რომ ვერ ჩაატარეს ლგბტ პრაიდი საქართველოს გულში.

ამ დროს ხდება გავრილოვის ვიზიტი.

გავრილოვის და მართლმადიდებლური ასამბლეის მუშობა ჩვეულებრივი ფორმატია ყველა მართლმადიდებლური ქვეყნისთვის. ჩვენი მხარის ინიციატივა იყო, ჩატარებულიყო სესია საქართველოში. ეს დაემთხვა ზუსტად ლგბტ კვირეულს.

მხოლოდ ბრმა ვერ მიხვდებოდა, რომ აქ უდიდესი მზაკვრობა იყო ჩადებული. ასამბლეა გაიხსნა ზუსტად 20 ივნისს, როდესაც ლგბტ მსვლელობა უნდა დაწყებულიყო თბილისის ქუჩებში. სამწუხაროდ, ბევრი ვერ ავლებს აქ ელემენტარულ ხაზებს. რა გამოდიოდა, პარლამენტში მართლმადიდებლური ასამბლეა უნდა ჩატარებულიყო, ქუჩებში კი უნდა ევლოთ ლგბტ პირებს ზარ-ზეიმით...

ალტერნატიული რეალობა შეგვიქმნეს. ტელევიზიებმა და ჟურნალისტთა კორპუსმა, რომლებმაც მიინიჭეს ინდულგენცია, თითქოს არიან ხელშეუხებლები, თვალებში ნაცარს გვაყრიან — ასეთი ტიპის უზრდელობა და თავხედობა წარმოუდგენელია, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. ასეთი ხალხი არც გებელსს ჰყოლია, სხვათა შორის და არც საბჭოთა კავშირში ყოფილა მსგავსი რამ.

ნებისმიერ ზესახელმწიფოში რომ მომხდარიყო ის, რაც მოხდა 20 ივნისს, ცეცხლსასროლ იარაღს გამოიყენებდნენ. წარმოვიდგინოთ, თეთრ სახლში შეჭრა გადაწყვიტა გარკვეულმა ჯგუფმა, ან ჩინეთში, ან დაუნინგ სტრიტზე რომ შეჭრილიყვნენ. თურქეთში 75000 კაცია დაჭერილი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისთვის, ირანზე აღარ ვლაპარაკობ, ნებისმიერი ქვეყანა წარმოვიდგინოთ. რომელი ქვეყანა გეგულებათ, ღია ეთერში მოუწოდონ სახელმწიფო გადატრიალებისკენ და მონაწილეები თავისუფალი იყვნენ?

80 პოლიციელი არის დაშავებული.

რომელიმე ქვეყნის ერთი პოლიციელიც კი რომ გამოათრიო და სცემო, როცა ის მხოლოდ საზოგადოებრივ წესრიგს კი არა, ქვეყნის უმაღლეს ორგანოს იცავს, წარმოგიდგენიათ, რა მოხდება იმ ქვეყანაში?

ეს ამფიტამინებით გაჟღენთილი ბრბო თავს ესხმოდა პოლიციელებს და ჩვენი მთავრობა კიდევ მორცხვად იმართლებს თავს.

დაანგრიეს მთლიანად მელიქიშვილის გამზირი.

მახსოვს, 300 000 კაცი ვიყავით ქუჩაში, მაგალითად, იპოდრომის აქციაზე და აზრადაც არ მოგვსვლია, სახელმწიფო უწყებები დაგვეკავებინა.

ესენი პირდაპირ პარლამენტის შტურმს ახორციელებდნენ და მედიის განვითარების ცენტრის — სოროსის მიერ დაფინანსებული ჩვენი მედია გვეუბნება, რომ ასე არ ყოფილა. შეხედეთ მათ თვალებში, იქ სინდისის ნასახსაც ვერ დაინახავთ.

პოლიტიკური შარავანდედით შემოსილი ღია პროვოკატორები, ღია აგენტურა ჩანერგეს ხელისუფლებაში და გადავაგორებთ კრიზისებსო? ნურას უკაცრავად.

იმის მაგივრად, რომ განადგურებული ქვეყანა როგორმე განავითარონ, ერთმანეთის ჩაძირვით და ინტრიგებით არიან დაკავებული.

ტურიზმზე ლაპარაკობენ რამდენი ხანია, ტურიზმი იყო ქვეყნის მთავარი მიმართულება. საუბედუროდ, ერთ დღეში, ერთი პროვოკაციით, ტურიზმი საქართველოში გაქრა. ახლა გამოდიან და გაურკვეველ არგუმენტებს და პერსპექტივებს სახავენ.

— ბატონო სოსო, მუდმივად არის იმაზე საუბრები — „ნაცმოძრაობა“ რუსული ძალაა თუ ამერიკული, თქვენ რას ფიქრობთ?!

— წარმოიდგინეთ, რომ ისეც არის და ასეც. რომ ვიცოდეთ, ცალსახად რომელიმე ქვეყნის ფარული მოკავშირეები არიან, გვეცოდინებოდა, როგორ მოვქცულიყავით. ფაქტია, მთელი სტრატეგიული ობიექტები და ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთს ჩააბარა საკაშვილმა და ეს რუსეთი „ნაცმოძრაობის“ ხელით დესტაბილიზაციას ქმნის ქვეყანაში.

ყველამ ვიცით, 20-ში რომ შევარდნილიყვნენ პარლამენტში ამას მოჰყვებოდა სამოქალაქო დაპირისპირება.

ახლა ერთი მოწოდებაა საჭირო, რომ ხალხმა ამათ მიუზღოს ის, რაც ეკუთვნით, მაგრამ ხალხი ჩერდება მხოლოდ იმიტომ, რომ ახსოვს ყველაფერი, რაც გავიარეთ 90-იან წლებში. იმას გარდა, რომ უბედურება მოხდებოდა, ეს გამოიწვევდა ახალ დეზინტეგრაციას და ტერიტორიების დაკარგვას.

— მიტინგები გრძელდება.

— ხოდა, მიზანი არის ახალი ფერადი რევოლუცია, თუ ამას მიაღწიეს, მერე ნახე საქართველოს ბედი და უბედობა.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ვინ აგებს პასუხს იმ უზარმაზარი ზარალის გამო, რაც „ნაციონალმა“ პროვოკატორებმა საქართველოს 20 ივნისს მიაყენეს?

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი
დიმა ლორთქიფანიძე:

— ბატონო დიმა, ვითარება საკმაოდ მწვავეა. რა ხდება რეალურად, საბაბი რაც ამ მოვლენებს დაედო, რამდენად რეალურია?

— დიახ, ჩვენ, არ უნდა გვქონდეს ბანალური წარმოდგენა, თითქოს, საზოგადოებრივი პროტესტის მიზეზი, ვინმეს მიერ დაშვებული შეცდომის შედეგია. რა თქმა უნდა, ეს არ იყო სპონტანური, არამედ ერთი დიდი გეგმის შემადგენელი დეტალი, რამაც საპროტესტო მოქმედებების დეტონაცია მოახდინა, რაც გარკვეული გეო-პოლიტიკური ჭიდილის პროცესში დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირების, ესკალაციის გაზრდას ისახავდა მიზნად. ასევე, გავლენების მოპოვებასა და განმტკიცებას კავკასიაში, კერძოდ კი, საქართველოში. კარგად მოგეხსენებათ, რომ დასავლური დემოკრატიის ერთ-ერთი ინსტრუმენტი ადამიანის უფლებების ჭრილში განხილული ლგბტ უფლებები გახლავთ. ანუ, ე.წ. სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით, პერფორმანსებით, ადამიანის უფლებების დემონსტრირება, რამაც მთელი ევროპა მოიცვა. ევროპაში არ დარჩა არცერთი მართლმადიდებლური ქვეყანა, სადაც მსგავსი აღლუმი არ ჩატარებულა. ამ მუხტმა მოიცვა უკრაინაც, მოლდოვაც და ჯერი საქართველოზე მიდგა. ეს გახლდათ, ამ ნარატივის უკან მდგომი გარკვეული პოლიტიკური ძალებისთვის, ერთგვარი მორჩილების ნიშანი, რათა ეჩვენებინათ — ქვეყანა მომზადებულია შემდგომი ეტაპისთვის და საქართველოში თბილისი გეი-პრაიდის ჩატარების პოლიტიკური მნიშვნელობა, ამ მხრივ, ძალიან მაღალია. თბილისი-პრაიდი 17 ივნისიდან 23 ივნისამდე უნდა ჩატარებულიყო სახელწოდებით — ღირსების მარში, რომელიც არ შედგა. ამ ყველაფერს ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი წინ აღუდგა, რამაც ორგანიზატორების რისხვა გამოიწვია. შეიქმნა სათადარიგო გეგმა, რამაც ზუსტად იმუშავა ქართული საზოგადოების ყველაზე უფრო ფაქიზ ემოციებსა და გრძნობებზე. კერძოდ, საკითხი შეეხო თბილისში მართლმადიდებელთა საპარლამენტო ასსამბლეის გამართვას, რომელიც აქ, ილია II ლოცვა-კურთხევით ტარდებოდა. საქართველო ამ ფორუმში 2011 წელს ჩაერთო. მაშინ პირადად გახლდით მეშვიდე მოწვევის პარლამენტის წევრი. გამოვედი საქართველოს დელეგაციის შექმნისა და მისი მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაზე მიერთების ინიციატივით, რაც წარმატებით განხორციელდა. რაც მთავარია, ორი წლის მანძილზე 24 ქვეყნის წარმომადგენლებთან მიდიოდა მოლაპარაკება იმის მისაღწევად, რომ საქართველო მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასსამბლეის მასპინძელი ქვეყანა ყოფილიყო, რომლის პრეზიდენტიც რუსეთის მხრიდან გავრილოვი, ხოლო გენერალური მდივანი — საბერძნეთის წარმომადგენელი გახლდათ. ბუნებრივია, ასსამბლეის სპეციფიკა, აუცილებლად, გულისხმობს გარკვეულ კონტაქტს ეროვნულ პარლამენტებთან. როდესაც დელეგაცია ჩამოდის ერთ-ერთი ვიზიტი, ყოველთვის, ამა თუ იმ ქვეყნის პარლამენტში ხორციელდება. მაგალითად, ასე მოხდა 2016 წელსაც, როდესაც თბილისს ეუთოს საპარლამენტო ასსამბლეა ეწვია. მაშინ რუსეთის ფედერაციის დელეგაციას ხელმძღვანელობდა სლუცკი, რომელიც გამოირჩეოდა ანტიქართული გამონათქვამებით. მეტიც, იგი იყო ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის არაერთგზის დამრღვევი როგორც სოხუმის, ისე ცხინვალის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, იმ პერიოდში „ნაცმოძრაობას“ ხმა არ ამოუღია, ერთი სიტყვაც არ დასცდენია სლუცკის წინააღმდეგ და არც სხდომის ჩაშლაზე უფიქრია. მიზეზი ის გახლავთ, რომ მაშინ ეუთოს ახალი პრეზიდენტის არჩევა უნდა მომხდარიყო და ერთ-ერთი პრეტენდენტი გიგი წერეთელი გახლდათ. მის გაპრეზიდენტებას სწორედ სლუცკიმ დაუჭირა მხარი. არის თუ არა ეს ორმაგი სტანდარტი, იმის ფონზე, რაც თბილისში 20 ივნისს განვითარდა?! ყველა საპარლამენტო ასსამბლეას გააჩნია შემდეგი სამუშაო ენები: ინგლისური, გერმანული, რუსული, ფრანგული, იტალიური, ესპანური. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი პროტოკოლის მიხედვით მიდიოდა, სწორედ ის სცენა გათამაშდა, რასაც შემდგომში ლგბტ პრაიდის ფიასკო უნდა გადაეფარა. ვერშემდგარი ღონისძიებების შედეგად განცდილი მარცხი წარმატებით „აღმოფხვრეს“ „ნაცმოძრაობის“ ცნობილმა პროვოკატორებმა: კაკო ბობოხიძემ, გიორგი კანდელაკიმ, ირმა ნადირაშვილმა და დროშა-შემოხვეულმა ელენე ხოშტარიამ. მათ ჩაშალეს სხდომა, ლანძღეს, აფურთხეს რუსეთის დელეგაციას და არა მხოლოდ. მაგალითად, ესტონეთის დელეგაცია ისე გაილანძღა, მათ, ლამის, ხელით შეეხენ. 24 ქვეყნის დეპუტატები დარბაზიდან განდევნეს. განა, შეიძლება ეს შეუფასებელი დარჩეს? ეს, თავისთავად, ძალიან ცუდი პრეცედენტია იმისა, თუ როგორი ველური და უტაქტო ყოფილა მასპინძელი მხარე, მით უმეტეს, საქართველოში, სადაც სტუმართ-მასპინძლობა ურთიერთობის უმაღლეს რანგშია აყვანილი. ეს ხომ ქართველების ავტოგრაფია. რა მაგალითი აჩვენეს „ნაცებმა“? — სტუმრები განდევნეს ქვეყნიდან. ეს რა, საქართველოს სადმე დივიდენდს მოუტანს? სადმე მაინც იტყვიან, რომ ეს ცივილიზებულია? თუ ლაპარაკია იმაზე, რომ გავრილოვი პარლამენტის თავჯდომარის სავარძელში არ უნდა ჩაესვათ და ეს დარბაზი მართლმადიდებელთა საპარლამენტო ასსამბლეის სივრცედ არ უნდა გამოეყენებინათ, მაშინ აგრესია მიმართული უნდა იყოს ამის დამგეგმავზე და არა იმ ადამიანზე, ვინც ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის სტუმარი იყო. მით უმეტეს, **გავრილოვს დედა ქართველი — ლომთაძე ჰყავს, ხოლო მისი ბაბუა ჯუკიის სასაფლაოზე განისვენებს.** თავად ის ფაქტი, რომ გავრილოვი, მისი დელეგაცია და სხვანი საქართველოს პარლამენტიდან ფიზიკური ძალის გამოყენებით განდევნეს, ვფიქრობ, ქვეყნის ისტორიაში, ძალიან სამარცხვინო ფურცელია. იმიტომ, რომ ერთია ოკუპაციის გაპროტესტება, ხოლო მეორეა ის ფორმა და შინაარსი, რომელიც ამ ოკუპაციის გაპროტესტების ადრესატის გარდა, კიდევ მოიცავს ძალიან ბევრი ქვეყნის დელეგაციას, რომლებიც, ელემენტარულად, სათანადოდ აღარ მოგვიხსენიებენ. მგონი, ელენე ხოშტარიებმა და კაკო ბობოხიძეებმა ისეთი მძიმე ფასი გადაგვახდევინეს, რასაც ჯერჯერობით ვერ ვგრძნობთ, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე მალე გვაგრძნობინებენ.

— გამოდის, რომ 24 ქვეყნის დელეგაციას წიხლი ვკარით და კაცმა არ იცის რამდენი წლით უკან დავწიეთ ჩვენი ქვეყანა?

— ნამდვილად ასეა. როგორც არ უნდა ეცადოს „ნაცმოძრაობა“ გმირის მანტიით შეიმოსოს, ეს სამარცხვინო აქტი მომავალში ძალიან დიდ ლაქად დაგვაჩნდება. რაც მთავარია, ამ ყველაფრის უკან გარკვეული ძალები დგანან. შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ჩვენი პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის აშშ-ში ვიზიტმა და მაიკ პომპეოსთან საუბრებმა საქართველოს შემდგომ პოლიტიკურ ურთიერთობებს გარესამყაროსთან კიდევ უფრო ღრმა კვალი დაატყო. თითქოს, პირდაპირ გაიცა დირექტივა: საქართველომ რუსეთის ფედერაციასთან და ჩინეთთან ყოველგვარი ეკონომიკური ურთიერთობები უნდა ჩაჭრას. რუსეთთან, დღეის მონაცემებით, სავაჭრო-ეკონომიკური ბრუნვა მილიარდ 370 მილიონს აჭარბებდა, არსებობდა განსაკუთრებული საინვესტიციო მოზიდვის დამოკიდებულება, ვინაიდან ყველა მსხვილგადამხდელი მეწარმე კომპანია საქართველოში რუსული კაპიტალით არის დაფუძნებული. თქვენ, ვერ დამისახელებთ პირდაპირი წესით განხორციელებულ თუნდაც ერთ ამრიკულ ინვესტიციას. პირდაპირი ამერიკული ინვესტიცია, როგორც ასეთი, საქართველოში არ არსებობს. ასეთი იყო „თელასი“ და ისიც რუსებმა შეიძინეს. მოგეხსენებათ, ენერგოგენერაციის ობიექტები 92% რუსეთის ხელშია, ასევე, მის ხელშია 100%-იანი წილით „ბორჯომი“, რომლის ლოგოტიპიც კი რუსული კომპანიისაა, მილიარდ ნახევარი იყო ტურისტების შემოდინება. წელს, უკვე, 2 მილიონ რუს ტურისტს ველოდებოდით. დამოკიდებულება რუს და ქართველ ხალხს შორის, ყოველთვის, ორგანული, განცდადი, ძალიან ახლობლური იყო. ეს ყველაფერი, დასავლური რეაქციული ძალების ანალიტიკური ცენტრების მიერ, შეფასდა, როგორც ქართულ-რუსულ ურთიერთობებში უმაღლესი საფრთხეების გამოყენება ახალი სიტყვისა და პოლიტიკური რეალობების გაჩენის თვალსაზრისი თ. როგორც ჩანს, სასწრაფოდ, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ნებისმიერი ობსტრუქციული ქმედებების განხორციელების გზით ამ ურთიერთობების აფეთქება, ეკონომიკური კავშირების ჩაჭრა მომხდარიყო, რაც ჩვენი სასიცოცხლო არტერიის გადაჭრის ტოლფასი პოლიტიკური ქმედებაა.

როგორც ექსპერტები წერენ: წლის განმავლობაში, ასეთი პოლიტიკის შედეგად, საქართველოსთვის მიყენებული ზარალი, დაახლოებით, ერთი მილიარდი დოლარის ფარგლებში იქნება. ეს კი ქვეყნისთვის, რომელსაც ისედაც ეკონომიკური სტაგნაცია გააჩნია, ვერ გაურღვევია მოჯადოებული წრე და ერთადერთი სტაბილური შემოსავლის წყარო ტურიზმი ჰქონდა და სწორედ აქედან შემოსული შემოსავლებით ასაქმებდა საქართველოში თვითდასაქმებული ადამიანების აბსოლუტურ უმრავლესობას, სრული კატასტროფაა. დღეს, ეს სეგმენტი, ქართული საზოგადოებისთვის შეზღუდულია. ვფიქრობ, ეს არის ის პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რაც უნდა დაეკისროს ამ დიდი პოლიტიკური ავანტიურის როგორც ჩამფიქრებლებს, ისე შემსრულებლებს. ჯერჯერობით, ამაზე აქცენტი არ კეთდება.

— აქციებზე ისე ჩანს, თითქოს, საქართველო მაქარაშვილს და მშვილდაძეს უჭერს მხარს. სად არის საზოგადოების მეორე ნაწილი, რატომ დუმს?

— დიახ, თქვენს კითხვაში სწორად არის აქცენტი დასმული. დიდი მადლობა ამ შეკითხვისთვის. სანამ ამაზე გიპასუხებთ, მანამდე ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ „ნაცმოძრაობის“ ბოროტი იდეოლოგიის შესახებ. ვფიქრობ, დღეს, ამ პარტიული სტრუქტურისთვის კიდევ ერთხელ მოხდა ნიღბის ჩამოგლეჯა. „ნაცმოძრაობა“ თავისი შინაარსით გახლავთ სრულიად ანტიქართული, ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რაც მიზნად ისახავს გარკვეული კონტროლის ბერკეტების გამოყენებას ქართული საზოგადოების განვითარების პროცესზე დასავლური რეაქციული ძალების მხრიდან. ეს ძალიან კარგად გამოჩნდა მიტინგებზე. თქვენ, მაქარაშვილი და მშვილდაძე ახსენეთ. დიახ, მიტინგის ერთ-ერთი წამყვანია გიგა მაქარაშვილი, რომელიც „პირველი არხის“ ჟურნალისტი იყო და მონაწილეობას ღებულობდა იმ სახიფათო ექსპერიმენტებში, რასაც გადაცემების დონეზე ქართული ახალგაზრდობისთვის ტვინის გამორეცხვის ეფექტი უნდა ჰქონოდა. შემდეგ, მან, გრანტების სანაცვლოდ, სხვადასხვა პროექტებში გადაინაცვლა, მათ შორის, მიზნად ისახავდა მარიხუანის ლეგალიზაციის პოპულარობას და მომავალი თაობების გადაგვარების გზით, ქართულ საზოგადოებაში, ამ ტრენდის დანერგვას. სწორედ იგი იყო ადამიანი, რომელმაც პირადად მე ცხვირწინ გამიბოლა მარიხუანა ერთ-ერთი ტელევიზიის პირდაპირ ეთერში, რაზეც მან ადეკვატური პასუხი მიიღო: გამოვიძახე პოლიცია და იგი პასუხისგებაში მივეცი. ჯერ კიდევ მაშინ კანონი ამის საშუალებას იძლეოდა. მაქარაშვილი გრანტების სანაცვლოდ არ ანებებს თავს აქტივობას და სხვა არანაკლებ რეაქციულ ორგანიზაციებთან ერთად როგორიც არის „რუსთავი-2“, რომელიც გახლავთ არა ტელევიზია, არამედ „ნაცმოძრაობის“ ოპერატიულ-ტექნიკური დანამატი, მის პროდიუსერ მშვილდაძესთან ერთად აგრძელებს ხალხის დარაზმვას აშკარა დესტაბილიზაციის მოთხოვნით. ასეთი აქციების მუხტი ნელ-ნელა კლებულობს. ვფიქრობ, აუცილებლად დადგება მომენტი, პირადად მონაწილეც ვიქნები და მომხრეც: დაიწყოს სრულიად ჯანსაღი ქართული საზოგადოების ნაწილის მობილიზაცია იმისათვის, რომ ჩვენ, თავისუფალ სამყაროს გავუგზავნოთ მესიჯი თუ რა ღირებულებებს ეყრდნობა ქართული საზოგადოება და რა ღრმად არიან შეცდომაში შეყვანილნი ის ახალგაზრდები, რომელთაც პირდაპირ ძალადობისკენ და დესტაბილიზაციისკენ მოუწოდებენ იმ პირობებში, როცა ამის საბაბია გამოყენებული და არა რეალური მიზეზები. შესაბამისად, ვფიქრობ, ქართული საზოგადოების რაციონალურად მოაზროვნე ნაწილის ქუჩაში გამოსვლის შესახებ აზრი მწიფდება და ამ დღეებში აუცილებლად მოხდება მისი რეალიზაცია.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ის რაც ხდება რუსთაველზე, ეს არის ლგბტ-ების რევოლუცია, რომლის უკან კვირიკაშვილი, ხაზარაძე და მეუფე იაკობი დგანან

გვესაუბრება „იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ თავმჯდომარე ბესო მიქავა

— ბატონო ბესო, თქვენს ინტერვიუს, რომელიც „საერთო გაზეთის“ გასულ ნომერში დაიბეჭდა, დიდი რეზონანსი მოჰყვა. გავაგრძელოთ საუბარი.

— უკვე გითხარით, რომ კვირიკაშვილმა დააფინანსა ე.წ. ეროვნული ყრილობა და მეუფე იაკობის მხარდაჭერით ჩაატარეს კიდევაც ეს შეკრება. კვირიკაშვილის გადაყენების მერე, როცა ნათელი გახდა, რომ დიდძალი თანხა ჰქონდა მითვისებული და მოსალოდნელი იყო მის წინაღმდეგ სს საქმე აღძრულიყო, ის მეუფე იაკობმა შეიფარა.

აქვე გაიხსენეთ, როცა გიორგი გახარია შს მინისტრად დაინიშნა, მეუფე იაკობმა ბრძანა, მე მას ომს ვუცხცადებო. იმ გახარიას, რომელმაც ზუგდიდში 31 მარტს ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეზე მის ძეგლთან თაიგულები მიიტანა და დიდი პატივი მიაგო.

ვინ არის მეუფე იაკობი? ის გახლდათ თბილისის კომენდანტის გელა ლანჩავას მოადგილე და თანამებრძოლი, „მხედრიონის“ წევრი. ეს ფაქტია და არც იაკობს უარუყვია ეს არასდროს. დღემდე ძალაუფლებისთვის და სიმდიდრისთვის იბრძვიან ეს ადამიანები და იმაზე არ ფიქრობენ, რომ, ყველაფერს თავი დავანებოთ, ამით მთელ მსოფლიოში სახელი გვიტყდება. თუმცა ეს სულ არ აინტერესებთ, ისე თავგამოდებული იბრძვიან ეს ნაძირლები. მეუფე იაკობს მარტო 2 თებერვალი ეყოფა ცოდვად, ლანჩავასთან ერთად რაც გააკეთა.

გახარიას პოზიცია და დამოკიდებულება ყველამ იცის, კანონიერი ხელისუფლებისა და ზვიად გამსახურდიას წინაშე, ისიც იციან, რომ მას სისხლში არ აქვს ხელები გასვრილი.

რაც შეეხება კვირიკაშვილს, მას აწყობს დღეს საქართველოში არეულობა, სხვანაირად „ოქროს თევზს“ ვერ დაიჭერს.

— როგორ ფიქრობთ, ამ საქმეში გარე ძალები შეიძლება იყოს ჩართული?

— გარე ძალები ყოველთვის იარსებებს. ნურავინ იფიქრებს, რომ მოვა დრო, როცა საქართველოს უცხო ქვეყნებიდან მტერი არ ეყოლება. საქართველო ლამაზი ქალივითაა, რომელსაც ყოველთვის ჰყავს ხელში ჩაგდების მრავალრიცხოვანი მოსურნე, საქართველო მიწიერი სამოთხეა, მაგრამ ახლა შიდა ძალებზე ვლაპარაკობთ. თუკი ისინი მზად არიან, ქვეყანაში ქაოსი შექმნან, უცხო ძალები ამაზე ხელს აუცილებლად მოითბობენ.

როცა კვირიკაშვილი, ხაზარაძე და მეუფე იაკობი თავიანთი ამფსონებით მილიონების ხვეტას იწყებენ, უცებ გზაზე ეღობებათ ჩხოროწყუელი გიორგი გახარია, ამათ გეგმებს შლის და იწყება შურისძიება გახარიას წინააღმდეგ.

ყველას გვახსოვს, როგორი მტკნარი ტყუილი თქვა ულვაშების ცმაცუნით მამუკა ხაზარაძემ — გიორგი გახარიამ წერილი მომწერაო. ეს ბრძოლები მაშინ არ გახდა შედეგიანი, ახლა ფიქრობენ, რომ გამოუვათ.

— არ გამოუვათ? თქვენ ფიქრობთ, რომ სპეცრაზმმა მომიტინგეებთან უფლებამოსილებებს არ გადაამეტა?

— სანამ თქვენ შეგხვდებოდით, კიდევ ერთხელ გადავათვალიერე კანონი მიტინგებისა და დემონსტრაციების შესახებ. კანონში გარკვევით წერია: მომიტინგე სახელმწიფო ობიექტებიდან 20 მეტრის დაშორებით უნდა იდგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არღვევს კანონს.

პირადად მე, მიტინგი რომ გავმართე 9 აპრილს დაღუპულების საპატივცემულოდ, გადამიზომეს 20 მეტრი და იქ დავდექი. დაჯდომის უფლებაც არ მომცეს, მთელი ღამე, ფაქტობრივად, ფეხზე მდგომმა გავატარე.

შს მინისტრი გიორგი გახარია არის ის ადამიანი, რომელიც ყურმოჭრილ მონასავით არ დაემორჩილა უცხო ქვეყნიდან წამოსულ მითითებებს. ეს არ ეხება მხოლოდ ლგბტ თემას. რითაც კარგად გამოჩნდა, რომ ის, შესაძლოა, არ ყოფილიყო სათამაშო ფიგურა ისე, როგორც არიან დღეს ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში.

გახარიას რომ პრობლემები შეექმნა, ახლა სად არის ვასაძე, რატომ არ უჭერს მას მხარს მორალურად, ზნეობრივად, პოლიტიკურად? თუკი ის გახარიას თანამოაზრე იყო იდეაში, წესით, დღეს მის მხარდასაჭერად უნდა გამოდიოდეს.

— მაგრამ ახლა ლგბტ პრაიდზე არავინ ლაპარაკობს. პოლიციის მიერ ძალის გადამეტებაზე და ადამიანების დასახიჩრებაზეა მიტინგებზე ლაპარაკი.

— მე ჩემს ფეისბუკის კედელზე მიდევს ვიდეო, სადაც „რუსთავი-2“-ის ეთერში ლგბტ პირი ამბობს, რომ ეს, რაც ხდება რუსთაველზე, არის ლგბტ-ების რევოლუცია, რომელის უკან კვირიკაშვილი, ხაზარაძე და მეუფე იაკობი დგანან.

გახარიას რომ არ ევაჟკაცა, პარადს ესენი ჩაატარებდნენ.

ვასაძის მომხრეები სიებს წერდნენ და ინიშნავდნენ თანამოაზრეების ტელეფონის ნომრებს — ასეთი რამე მე ჯერ არ გამიგონია.

იმ ხანებში დააკავეს კიდევაც ირაკლი ანთაძე, რომლისგანაც ამოიღეს სიები. ეს ნიშნავს, პარტიზანების სია ჩააბარო მტერს.

— აქციების თემას დავუბრუნდეთ, რას შეიძლება მოველოდეთ?

— ერთ გაზეთს მე ორი თვის წინ მივეცი ინტერვიუ, სადაც ვამბობდი, რომ, როგორც ჩანს, აშშ საქართველოს ხელისუფლებაში მოსასვლელად გიგა ბოკერიას აშზადებს, რადგან თუ აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპი დამარცხდა ბაიდენთან, ბაიდენი აუცილებლად მოიყვანს ხელისუფლებაში გიგა ბოკერიას-მეთქი. თუმცა მანამდე საქართველოში არეულობის მოწყობა აშშ-სა და დასავლეთს ძალიანაც აწყობთ.

როგორც დავინახეთ, ევროკავშირმა რუსეთს ხმა აღუდგინა, გასულ კვირას ტრამპი და პუტინი ერთმანეთს შეხვდნენ, სადაც დიდი მოწიწება გამოხატა აშშ-ის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინისადმი, დასახეს ეკონომიკური პარტნიორობის პერსპექტივები. ჩვენ კი ჩაგვითრიეს ამ უაზრო კონფლიქტში.

კიდევ ვიმეორებ: გარიგება შედგა აშშ-ის სომხურ ლობსა და რუსეთის სომხურ ლობს შორის საქართველოს დაშლისა და გადანაწილების შესახებ.

მშვენივრად მახსოვს მაიკლ პომპეოს „დარიგება“ — შეეწინააღმდეგეთ რუსეთსო. ტრამპი კი ამ დღეებში ეხუტება რუსეთს და უთანხმდება ბევრ აქამდე გადაუჭრელ საკითხში.

ჩვენ კიდევ ერთხელ, რომ იტყვიან, აგვაგდეს და კიდევ ერთხელ შეგვახეთქეს ამ უზარმაზარ იმპერიას, რაც მოხდება, აწი, კიდევ ვნახავთ.

— რას ვნახავთ?

— ტერიტორიულ რღვევებს.

ჩვენგან ყველას სჭირდება ტერიტორიები, რუსეთს, ამერიკას, ყველას.

დღეს რუსეთში სომხური ხელისუფლება რომ არის, ეს ყველამ იცის და პუტინი ამას ვერ ხვდება. კი უჭირავს ხელში სტალინის წიგნი, მაგრამ, მგონი, უკუღმა უჭირავს. მოკლედ რომ ვთქვა, ვერ ქაჩავს იმდენს ბატონი ვოვა, რომ მიხვდეს და მოერიოს არმენების პარპაშს რუსეთში. კავკასიაში რუსეთის პოლიტიკა არის ჩიხში სწორედ არმენების სასარგებლოდ და მათი მოხერხებით.

რუსეთმა თუ კავკასიაში საქართველო არ გახადა მთავარ ფიგურად, დამთავრებულია მისი საქმე.

— ამას წინათ ამერიკიდან ჩემთვის უცნობმა ჩემმა მოგვარემ მომწერა სოციალურ ქსელში — რა გჭირს, კალანდაძე, შენ გგონია, მთელი მსოფლიო საქართველოს უპირისპირდება? მსოფლიოს სულ არ ახსოვს საქართველოო. მოკლედ, როგორც ჩანს — გვარში ზოგი ასე ვფიქრობთ, ზოგი — ისე. თუმცა მე მაინც მგონია, რომ ჩვენს წინაშე განსაკუთრებული საფრთხეები დგას...

— მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა და მკვლევართა აღმოჩენებმა, საბოლოოდ დაასკვნა, რომ ქართველი ერი უდიდესი ისტორიის, კულტურის და ცივილიზაციის შემქმნელი და მემკვიდრეა. ფაქტია, უძველესი ხალხი ვართ, რომლებიც ჩვენს მიწაზე ვმკვიდრობთ.

არც ერთ იმპერიას არ აწყობს მასზე ძველი და კულტურული ერებისა და სახელმწიფოების არსებობა.

გაიხსენეთ, ყველა ომი, რაც წარმოებულა მსოფლიოში, მთავრდებოდა იმით, რომ დამარცხებულ ქვეყანაში ან ბიბლიოთეკებს წვავდნენ, ან კულტურის ძეგლებს არბევდნენ, ან იპარავდნენ კულტურულ საგანძურს. აგერ ახლა, გავიხსენოთ, ბაღდადში რომ შევიდნენ და ჰუსეინი დაამხეს, მუზეუმები გაძარცვეს, თიხის ჭურჭელი წაიღეს. ოქრო ხომ არ იყო, მაგრამ მაინც.

იგილმა სირიის მთელი ცივილიზაცია დაანგრია. კედლებს ხერხავდნენ „ბოევიკები“.

მილიონიანი ერები გაქრნენ, გაქრნენ კი არა, გააქრეს და ჩვენც გაქრობით გვემუქრებიან.

ბუტროს გალიმ თქვა თავის დროზე — თქვენ უნდა განადგურდეთო. დროშის და გერბის შეცვლა შემოგვთავაზა, სახელწიფოსაც სახელი შეუცვალეთო.

ჩვენი პატრონი დღეს არის მხოლოდ ქრისტე ღმერთი, რაც უფრო მალე მივხვდებით ამას, უკეთესი იქნება ჩვენთვის.

— ჩვენ კი თურქეთში დაკარგული ტაო-კლარჯეთის მონასტრები, საინგილოში ჩაკარგული ეკლესიები თითქოსდა დავივიწყეთ და დავით გარეჯსაც ვკარგავთ, მგონი, თანდათან.

— დავით გარეჯზე მე გესაუბრეთ უკვე, მაგრამ აქვე დავძენ, გარეჯში აზერბაიჯანი ჩვენს წინააღმდეგ კი არ მოქმედებს, არამედ სომხებისგან იცავს თავს. ის ტერიტორია სტრატეგიული ობიექტია. აზერბაიჯანს გაანალიზებული აქვს, რომ, მოსალოდნელია, საქართველოს ოკუპაცია-ანექსია, ამიტომ ცდილობს მეტი ტერიტორია გადაითრიოს თავისკენ.

ასე რომ, რუსთაველზე გეი-პარადების ჩატარება, ამ ბრიყვი პოლიტიკოსების მიერ მუშტების მოღერება და უაზრო ბღავილი კი არა, ქვეყანაა მისახედი და თავი გვაქვს გადასარჩენი.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

საქართველოს ეკონომიკა რომ განვითარდეს, საჭიროა რადიკალური, რევოლუციური ცვლილებები

ჩვენ, არ გვჭირდება სახელმწიფო გადატრიალება. ჩვენ გვჭირდება პოლიტიკაში გადატრიალება. ჩვენ გვჭირდება პოლიტიკური ელიტების შეცვლა

ვაგრძელებთ საუბარს „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ დამფუძნებელთან გია ჟორჟოლიანთან:

— ბატონო გია, სამწუხაროდ, მრავალი წელია სახელმწიფო სამართალს ვერ ამყარებს. დღემდე, არშემდგარ, დისფუნქციურ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. საბაკაშვილი, თავისი მმართველობის პერიოდში, გზების, ხიდებისა და შადრევნების დადგმას ქვეყნის მშენებლობას ეძახდა. იგი ერთპიროვნულად წყვეტდა რა ფერის უნდა ყოფილიყო ესა თუ ის შენობა და ა.შ. ის, რომ ახლაც



პროტო სახელმწიფო ვართ, ამას ამჟამად გამწვავებული ვითარებაც ცხადჰყოფს. რა ხდება დღეს, რა ვითარება შეიქმნა ქვეყანაში და სინამდვილეში, როგორ უნდა შენდებოდეს ქართული სახელმწიფო, რათა არსებული შედეგები თავიდან ავიცილოთ?

— დღეს, ყველანი, ძალიან სერიოზული კრიზისის მოწმენი ვართ. ეს, პირველ რიგში, პოლიტიკური კრიზისია. სახელმწიფო კრიტიკულ მდომარეობაშია. ჯერ-ჯერობით, ვერ მოვახერხეთ ისეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც ნორმალურად იფუნქციონირებს და პოლიტიკურ რყევებს გაუძლებს. სამწუხაროდ, დღეს, ჩვენ, იმ ვითარებაში ვართ, როდესაც ცალკეული პიროვნებები უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ვიდრე სახელმწიფოს ფუნდამენტური ინსტიტუტები, რაზეც ქვეყანა უნდა იდგეს. პოლიტიკური კრიზისი ბევრ ევროპულ ქვეყანაშია, მათ შორის, აშშ-ში. ელიტების მიმართ ნდობა ბევრ ქვეყანაში ეცემა. ტრადიციული პოლიტიკური პარტიები უაღრესად მძიმე კრიზისს განიცდიან, მაგრამ იქ, სახელმწიფოს ჩამოშლის ნიშნები არ არის. ეს ორი საკითხი ერთმანეთზეა გადაბმული. ჩვენ, უნდა შევქმნათ სახელმწიფო, რომელიც ხალხის ინტერესებზე იქნება მორგებული. აქ კი, ჩამოყალიბდა სისტემა, რომელიც ცალკეულ პიროვნებებს ან პოლიტიკურ ჯგუფებს სწევს წინ და არა სახელმწიფო ინსტიტუტებს. ასეა, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ნგრევის პერიოდიდან. ახალი სახელმწიფოს შექმნა ყოველთვის რთულია. წინა ინტერვიუში ვახსენე და ახლაც გავიმეორებ: საბჭოთა კავშირი ცუდ დროს დაიშალა, როდესაც ნეოლიბერალური წესრიგი იყო გაბატონებული, რამაც სახელმწიფოს როლი ძალიან შეასუსტა. ჩვენი ამოცანა დამნაშავის ძიება არ არის, არამედ უნდა გავაცნობიეროთ ჩვენი ისტორია, მოვახდინოთ რეფლექსია, მერე, აქედან, გაკვეთილი მივიღოთ და სწორ გზას დავადგეთ. ამ კრიზისში რა შეიძლება იყოს სწორი გზა? — აშკარაა, რომ „ქართული ოცნების“ ლეგიტიმაცია უაღრესად შესუსტებულია. მოლოდინი, რაც 2012 წლიდან ხალხს ჰქონდა, რეალურად ვერ მიიღწა, არამედ, ჩემი აზრით, დიდწილად, „ნაცების“ რეჟიმის დროს დამკვიდრებული წესების ფუნქციონირება გაგრძელდა. თუმცა, აქვე, უნდა აღინიშნოს: რეპრესიები როგორც პოლიტიკის წარმართვის ინსტრუმენტი, სრულად აღმოიფხვრა, დამკვიდრდა სიტყვის თავისუფლება და ა.შ. მაგრამ სახელმწიფომ ქვეყნის განვითარებაზე პასუხისმგებლობა არ აიღო, ეკონომიკური და სოციალური წესრიგი იგივე დატოვა და ადამიანებიც მიხვდნენ, რომ სახელმწიფო მათი პრობლემების გადაწყვეტაში დიდ როლს ვერ თამაშობს. ამან, კვლავ, მკვეთრად დასწია სახელმწიფოს პრესტიჟი და „ქართული ოცნების“ მიმართ ნდობა შეასუსტა. პარადოქსია, მაგრამ **შეიძლება ვითარება, როდესაც მთავარი პოლიტიკური ოპონენტის როლში 9 წლიანი რეჟიმის უშუალო წარმომადგენელი — „ნაცმოძრაობა“ აღმოჩნდა და პოლიტიკური დისკუსის მთავარ თემად იქცა — ვინ უფრო უარესია. ანუ, ჩვენ, ღირსებაზე დამკვიდრებულ არჩევანს კი არ ვაკეთებთ, არამედ უღირსობის შეფასებას ვახდენთ და ხმას იმის წინააღმდეგ ვაძლევთ ვინც მეტად უღირსია. ასე, სახელმწიფო ვერ აშენდება.** ხალხი ვერ გამოხატავს სურვილს თუ რა და როგორ უნდა. დღეს, აშკარაა, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არც „ნაციონალები“ უნდა და არც „ქართული ოცნება“. მოგეხსენებათ, ახლოვდება 2020 წლის არჩევნები. ერთი მხრივ, „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტები, აშკარად, გრძნობენ, რომ არჩევნებით გამარჯვებისთვის საკმარისი მხარდაჭერა არ აქვთ. ამიტომ, მათთვის არჩევნები კი არ არის მიზანი, არამედ არალეგიტიმური გზით ძალაუფლების აღება. რევოლუციურ, ძალადობრივ გზას ჩვენი ქვეყანა, ხალხი ვეღარ გაუძლებს. ეს კიდევ უფრო უკან დაგვწევს და ნაცრეჟიმზე უარეს დროში დაგვაბრუნებს. წარმოიდგინეთ, პარლამენტის შენობაზე მიტანილი შტურმი სისრულეში რომ მოეყვანათ, ამას რა მოჰყვებოდა, ამ რევანშიზმის პირობებში რა მდგომარეობაში იქნებოდა დღეს ქვეყანა?! ამიტომ, ჩვენი ამოცანა, დღეს, არ არის „ქართული ოცნების“ პრესტიჟის გადარჩენა, არამედ მთავარია სახელმწიფოს ჩამონგრევა არ დავუშვათ. დღეს, მნიშვნელოვანია არჩევანის საშუალება გვქონდეს, სხვა პოლიტიკური ძალებისთვისაც გაიხსნას ასპარეზი. ჩნდება კითხვა: ვინ არიან ეს პოლიტიკური ძალები? — არსებული პარტიების დიდი უმრავლესობა ან „ნაცმოძრაობასთან“ არის დაკავშირებული, ან „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს. მაგალითად, ჩვენ, „პატრიოტთა ალიანსი“ და კიდევ რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ გამოეყვნენ, ამ გუნდთან აღარ ასოცირდებიან. საჭირო არ არის ვინმეს იდენტიფიცირება ახლავე მოვახდინოთ. დრო გვჭირდება იმისთვის, რათა საზოგადოებამ მოახერხოს და თავისი წიაღიდან წარმოშვას ის პოლიტიკური ძალა, რომელიც სახელმწიფოს მშენებლობისთვის მზად იქნება. ისმის კითხვა: როგორ სახელმწიფოში გვინდა ცხოვრება? — აშკარაა, რომ ხალხს სჭირდება სახელმწიფო, რომელიც ქვეყნის განვითარების წარმმართველი იქნება. ანუ, პირველ რიგში, ადამიანებისთვის ნორმალური ცხოვრების პირობებს შექმნის. ეს გახლავთ: სამუშაო ადგილების, ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა. ვის შეუძლია, დღეს, ასეთი რამის გაკეთება? — ეს ძალიან რთულია. ადამიანების დიდი ნაწილი, პოლიტიკის მიმართ, ნიჰილისტურად არის განწყობილი. **ვფიქრობ, საზოგადოების წიაღიდან უნდა წარმოიშვას საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა, რომელიც ხალხის ინტერესების გატარებაზე იზრუნებს.** ძირითადი განსავითარებელი სფეროებია: ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა და განათლება. აი, ამ სამ სფეროზე დგას ქვეყნის განვითარება. აქვე, საჭიროა ჯანდაცვის, სოც.უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავება. ადამიანები სათანადო სფეროებში აქტიურად ჩართვისთვის უნდა მოემზადონ. საჭიროა ამ ხალხის გადამზადება, რათა ადეკვატური ცოდნა შეიძინონ, რაც მათ საშუალებას მისცემს ისეთი პროდუქცია აწარმოონ, რომელიც გლობალური ეკონომიკის მასშტაბით კონკურენტული იქნება. ჩვენ, მზად ვართ ამ საქმიანობაში ჩავერთოთ და ვითანამშრომლოთ ყველა იმ ჯგუფთან, რომელიც ამ ძირითადი სფეროების განვითარებისთვის საკუთარ ცოდნას და ენერგიას არ დაიშურებს. მაგალითისთვის გეტყვით: ბოლო ხანებში გავრცელებული ინფორმაციით კომპანია „ლომთაგორამ“ ერთ ჰექტარზე 11 ტონა ხორბალი მოიყვანა, რაც აბსოლუტური, რეკორდია. ეს არის საშუალო ევროპულზე (ექვსი ტონა), თითქმის, ორჯერ მაღალი მონაცემი. საქართველოში ნიჭიერი ადამიანები არიან. აღარაფერს ვამბობ ცალკეულ პიროვნებებზე — **გია დვალზე, ზაალ კოკაიაზე** და ა.შ., რომლებიც უცხოეთში მოღვაწეობენ. მაღალი ავტორიტეტით მოსარგებლე ადამიანები აქაც არიან. ჩვენთან, ელექტრომობილების ქარხნის მშენებლობა იწყება, რომლის დიზაინს ციკოლია გააკეთებს. იგი გახლავთ პიროვნება, რომელიც საავტომობილო დიზაინში მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ცნობილია. ჩვენ, ამ ხალხთან შეხვედრებს ვმართავთ. ჩემი აზრით, ერთ-ერთი მცოდნე, პოლიტიკისთვის უცხო ხედვების მქონე ადამიანი იყო ეკონომიკის მინისტრი **გიორგი ქობულია**. მან, რისი გაკეთე-

ბაც ამ მოკლე დროში მოასწრო, ეს უკვე ღირებულია. მსგავსმა ადამიანებმა უნდა შექმნან პოლიტიკური ძალა და შეძლონ ქვეყანა განვითარების რელსებზე გადაიყვანონ. ამ სფეროში დისკუსია სასარგებლოა, მაგრამ კინკლაობა იმაზე — ვინ უფრო უარესია, მხოლოდ დამაზიანებელია. რა თქმა უნდა, ყველგან და ასევე, ჩვენთანაც არსებობენ როგორც ბოროტი, ისე კეთილი ადამიანები. პოლიტიკის წარმართვა ამის მიხედვით არ შეიძლება. ცხადია, ადამიანის მორალურ სახეს მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ქვეყანას სჭირდება პოლიტიკა, რომელიც რასაკვირველია, მორალურმა ადამიანებმა უნდა შეიმუშაონ. მთავარი მორალი უნდა იყოს ის, რომ მათ საჯარო სიკეთისთვის იმოქმედონ ისეთ სივრცეში და ისეთ სფეროში, რაც ყველა მოქალაქისთვის ღირებულია. მოკლედ, მარტივად რომ ვთქვა, საქმე შემდეგნაირადაა: ჩვენ, არ გვჭირდება სახელმწიფო გადატრიალება. ჩვენ გვჭირდება პოლიტიკაში გადატრიალება. ანუ, ჩვენ გვჭირდება პოლიტიკური ელიტების შეცვლა, რაც შესაძლებელია განახორციელოს მხოლოდ ხალხმა. პოლიტიკური ელიტა ის ჯგუფები უნდა გახდნენ, რომლებიც ჩვენი ცხოვრების ცალკეული სფეროების ინტერესებს გამოხატავენ. პარლამენტიც ასეთი ადამიანებისგან უნდა შედგებოდეს. ასეთი ადამიანები გვყავს და ვცდილობთ ამ ტიპის გაერთიანებას ხელი შევუწყოთ. მაგალითად, გვაქვს ურთიერთობა ზოგადსაგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებთან. გვყავს მასწავლებლები, რომლებიც უკიდურესად მძიმე პირობებში გმირულ შრომას ეწევიან. საქართველოში, დღეს, ჩემი სტუდენტები თავისი ცოდნით თუ ბევრ პროფესორსაც კი დაჩაგრავენ, ეს იმის შედეგია, რომ მათ თავის დროზე ვიღაცამ ასწავლა. უმაღლესი განათლების სისტემაში ძალიან სერიოზული რეფორმა გვჭირდება. ასევე, მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების სისტემის ჩამოყალიბება. მთავარია, პოლიტიკური ნება. შეგვიძლია უცხოელების მოწვევაც ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვიცით რა გვინდა. ყველა ქვეყანა საკუთარმა ხალხმა განავითარა. არ შეიძლება გვქონდეს მოლოდინი, რომ საქართველოს ვიღაც ჩვენს ნაცვლად განავითარებს. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია გეოპოლიტიკური, საგარეო პოლიტიკური ვითარება, ასევე, ჩვენი ორიენტირები. საგარეო პოლიტიკას ისე როგორც ჩვენ გვინდა, ვერ გადავწყვეტთ. 1997 წელს გამოცემდი ჟურნალ „ეპოქას“, სადაც გამოვაქვეყნე ნიკო ნიკოლაძის სტატია — „საქართველოს ორიენტაცია“. ნიკოლაძე ძალიან გასაგებად და მარტივად წერდა: ორიენტაცია არ შეიძლება იყოს ის, თუ რა მინდა მე. ამიტომ, ახირებებით ვერ ვივლით. ქვეყანას აქვს გარკვეული ინტერესი. ეს ინტერესი უნდა იყოს შემდეგი — ქვეყნის განვითარება. მათ შორის, ჩვენი საგარეო პოლიტიკა სწორედ აქედან გამომდინარე უნდა ავაგოთ. მგონია, რომ დღეს ამისთვის ყველაზე კარგი დროა, რადგან ტრადიციული პოლიტიკური ელიტა უაღრესად დელეგიტიმირებულია. ცუდია ის, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი პოლიტიკისადმი ნიჰილისტურად არის განწყობილი, მაგრამ ეს ობიექტურ საფუძველს ემყარება. თუმცა, ზოგადად, თუ საზოგადოება პოლიტიკის მიმართ ნიჰილისტურად იქნება განწყობილი, ვერასოდეს მივიღებთ ისეთ პოლიტიკურ კლასს, რომელიც ქვეყნის განვითარებას შეუწყობს ხელს. თავად მოსახლეობა, რომელიც პოლიტიკოსების მიმართ ნიჰილისტურად არის განწყობილი, ახალი პოლიტიკური კლასის მშობელი უნდა გახდეს, რომელიც ქვეყანას განვითარების გზით წაიყვანს. ჩვენ ამ დროის მომსწრენი ვართ, ეს შანსი გვაქვს. თუ ხალხი ამ შანსს გამოიყენებს, მომავალ არჩევნებში შეგვეძლება ვითარება მკვდარი წერტილიდან დავძრათ, რაშიც არაერთი წელია ვიმყოფებით. მუდმივი კინკლაობიდან, უსაგნო ქიშპიდან რეალურ, ჯანსაღ, კონსტრუქციულ დისკუსიაზე გადავიდეთ, რაც ქვეყნის განვითარების საკითხებზე იქნება კონცენტრირებული.

— თქვენ ახსენეთ, რომ სახეზეა კრიზისი, რაც გავრილოვის პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდომას მოჰყვა. როგორ ფიქრობთ, ამ საბაბის უკან რა რეალური მიზნები და მოტივები იმალება? საქმე უფრო შორს

— გეო-პოლიტიკურ ჭიდილამდე ხომ არ მიდის?

— რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის უკან მდგომმა ძალებმა, ეს მოტივი შეიძლება გეოპოლიტიკური მიზნებისთვისაც გამოიყენონ, მაგრამ მგონია, რომ ეს ამ კრიზისის მთავარი მიზეზი არ არის. მსგავსი საბაბები ბევრი შეიძლება მოინახოს. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ხალხის უკამყოფილებას, გარკვეულწილად, ეკონომიკური და სოციალური მიზეზები აქვს. მაგრამ არცერთი პოლიტიკური აქტივობა, აქციები და ა.შ. ამას არ უკავშირდება, არამედ აბსოლუტურად, სხვა საკითხებს. იმიტომ, რომ დღეს არსებულ პოლიტიკურ ჯგუფებს, პოლიტიკური და სოციალური წესრიგის ალტერნატივა არ აქვთ. მივესალმებოდი, ეს სოციალური მოძრაობა ყოფილიყო, რომელსაც უნდა არსებული სოციალ-ეკონომიკური ვითარება შეცვალოს. სამწუხაროდ, ასე არ ხდება. ეს არის ძალაუფლებისთვის ბრძოლა და ამიტომ, აქ, ნებისმიერი საბაბი შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო. რაც შეეხება კონკრეტულად ასსამბლეას: რასაკვირველია, როდესაც ასეთი შეხვედრები იგეგმება, ეს უფრო სიღრმისეულად უნდა იქნას გაანალიზებული. ნუთუ, ვინმემ არ იცოდა, რომ რუსეთი მართლმადიდებლური ქვეყანაა და ამ ასსამბლეაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ასსამბლეის წევრები დიდი ხანია ვართ. ასეთი დელეგაციები, ორგანიზაციები ბევრია. სიმართლე თუ გინდათ, მსგავსი რაღაცები ქვეყნის ცხოვრებაში დიდ როლს ნამდვილად არ ასრულებს. ასე, რომ თუ ასეთი რისკები არსებობდა, და როგორც ირკვევა არსებობდა, ალბათ, მიზანშეწონილი იყო ეს უფრო გონივრულად ყოფილიყო დაგეგმილი. სინამდვილეში, მნიშვნელობა სულაც არ ჰქონდა რომელ სკამზე დაჯდებოდა გავრილოვი. თუ ეს, აბსოლუტურად, მიუღებლად მიიჩნევა, იმავე ლოგიკით შეიძლება გავრილოვის პარლამენტში შესვლაც ასეთსავე საბაბად ქცეულიყო. ასეთი სიმბოლიზმი, აბსოლუტურად, მანიპულირებისა და ისტერიკის შექმნის ხასიათს ატარებს. ეს ცხადია. ის რომ რუსეთი ოკუპანტია, ამას დიდი დაძახება არ სჭირდება. ჩვენ გვაქვს კანონი ოკუპაციის შესახებ და ა.შ. ფაქტობრივად, კანონში გვიწერია, რომ რუსეთი ოკუპანტია. სხვა, რა უნდა გავაკეთოთ. ვინმემ იცის რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ოკუპაციის პრობლემა გადავწყვიტოთ? გავიხსენოთ, როგორ დაძაბა ვითარება თავის დროზე პოლიტიკურმა ჯგუფმა, ვგულისხმობ „ნაცმოძრაობას“. საქმე იქამდე მივიდა, რომ 2008 წლის კონფლიქტი მივიღეთ. თუ ჩვენი მიზანი ეს არის, გეტყვით, რომ აბსოლუტურად მიუღებელია და საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებაა. პირადად, მონაწილე ვარ იმ კონფლიქტებისა, რომლებიც 1991–92 წლებში იყო. ფრონტის ხაზზეც ვარ ნამყოფი და ა.შ. დღეს მაქვს შეხვედრები, ვთანამშრომლობ ძალიან ბევრ ვეტერანთან, ვინც იმ ომში მონაწილეობდა, ბევრი ჩემი მეგობარია. ეს ადამიანები არიან დღეს ყველაზე დიდი პაციფისტები. მათ იციან რა არის ომი. მათ ვერ შევადარებ ვიღაცებს, რომლებიც სასაზღვრო ხაზებთან მიდიან და იქ, ბოდიში და,

რაღაც პერფორმანსებს აწყობენ და თამაშობენ. ეს საქმე ასე არ კეთდება. იმ ადამიანებმა ვინც ომი გამოიარა, სამშობლოს პატრიოტები არიან, ვინც ძმები, მეგობრები დაკარგეს, იციან რა არის ომი. მათ ჭრილობები მიიღეს, რაღაც კი არ გაეკაწრათ, არამედ ბევრმა ოჯახები დაკარგა. ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებიც რეალურ ომში მონაწილეობდნენ, სიცოცხლე გაწირეს და ვიღაცებივით ტელევიზორში არ იპრანჭებოდნენ და ვითომ პატრიოტული შეძახილებით არ გამოირჩეოდნენ. ჩვენ მკაფიოდ უნდა ვთქვათ: რა შეგვიძლია გავაკეთოთ. უნდა გითხრათ, რომ **„ქართული ოცნების“ ეკონომიკური, სოციალური და მთლიანად სახელმწიფოებრივი მშენებლობის პოლიტიკის მიმართ, რომელიც მან განახორციელა, ძალიან კრიტიკულად ვარ განწყობილი. მაგრამ რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ვფიქრობ, ეს იყო შესაძლებლობის ფარგლებში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ოპტიმალურად განხორციელებული პოლიტიკა.** ანუ, ძალიან მჭიდრო და ინტენსიური თანამშრომლობა, მაგალითად, ევროკავშირთან, აშშ-სთან და ამავე დროს პრაგმატული, ჩვენს ინტერესებზე დამყარებული პოლიტიკის წარმართვა, რასაკვირველია, შესაძლებლობის ფარგლებში, თუნდაც, რუსეთთან. შეიძლება ბევრს ვერაფერს მივაღწიეთ, მაგრამ განწყობები ნამდვილად დაფიქსირებული იყო, რაც ამ კონფლიქტურ რეგიონებთან თანამშრომლობისკენ იყო მიმართული. აქ, კიდევ შეიძლება რაღაც ნაბიჯების გადადგმა. ასე, რომ ახლა, ისტერიკის ატეხვა იმის თაობაზე მოდი ვაღიაროთ, რომ რუსეთი ოკუპანტია, ეს ღია კარის მტვრევა არ არის. ეს არის პროვოკაციისკენ მიმართული ქმედებები. იმიტომ, რომ ღია კარის მტვრევა არის ის, რასაც ზიანი არ მოაქვს. ეს ამით არ მთავრდება. ეს არის მიზნობრივი ქმედება, რაც შეიძლება შეუგნებლადაც კეთდება. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი, თავის ემოციებში გულწრფელია. თუმცა, ბევრი მათგანი, მაგალითად, 2008 წელს 7 წლის იქნებოდა, ზოგი, ალბათ, სკოლაშიც არ დადიოდა. ამ დროს, მათ, ის ხალხი იყენებს, ვინც 2008 წელს ამ დაძაბულობას თავად შეუწყო ხელი. ის, რომ ჩვენი პოლიტიკა არაგონივრული იყო, ეს ფაქტია. ვერავინ დამარწმუნებს, რომ ვცდები. თუნდაც, იმდროინდელი არა ჩვენი, არამედ საერთაშორისო გამოხმაურებები ვნახოთ, უცხოური პრესა და ა.შ. ერთ-ერთი ფრანგული ჟურნალი წერდა ცნობილი მოღვაწის სიტყვებს: ეს იყო შეცდომა, რომელიც დანაშაულზე მეტია. ასე უწოდეს ჩვენი მთავრობის პოლიტიკას. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს ძალიან სახიფათო გზაა. თუმცა, მგონია, ძალადობის მეშვეობით ხელისუფლების ჩამოგდების მსურველნი, არამხოლოდ ამ საბაბს გამოიყენებდნენ, არამედ ნებისმიერს. ამიტომ, ჩვენი ამოცანაა, მაქსიმალურად, ყველა კანონიერი გზით ისეთი პირობები შევქმნათ, რაც ჯანსაღ დისკუსიას უზრუნველყოფს და ქვეყანაში არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას შექმნის. შედეგად, თანამედროვე პოლიტიკოსების დიდ ნაწილს პოლიტიკური ასპარეზიდან გავისტუმრებთ. ვიმეორებ, მოვახდინოთ პოლიტიკაში გადატრიალება. ქვეყნის სათავეში ხალხის რეალური წარმომადგენლები უნდა მოვიდნენ და მათი ინტერესების შესაბამისი პოლიტიკის წარმართვა დაიწყონ. მხოლოდ ეს შეგვაძლებინებს დავძლიოთ სახელმწიფოებრივი კრიზისი, რაზეც ზემოთ გესაუბრეთ და შევქმნათ სახელმწიფო. თუ სახელმწიფო ამ სფეროების განვითარებაზე იქნება ორიენტირებული, ეს ნიშნავს მთლიანად ქვეყნის განვითარებას, ძლიერ სახელმწიფოს, სადაც რა თქმა უნდა, პლურალიზმი იქნება. ძლიერი სახელმწიფო სერიოზული, ჯანსაღი დისკუსიის გარეშე ვერ შეიქმნება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

(გაგრძელება იქნება)

ქალია – ადამიანი?!

(პოლიტიკური ნარკვევი)



ძვირფასო მკითხველებო, უშველებელ ბოდიშს ვიხდი იმის გამო, რომ ამ სტატიის წერისას ცოტა უხეში ვიქნები. მხოლოდ უხეში კი არა, შეიძლება უნებლიედ ცუდი სიტყვებიც აღმომხდეს. გთხოვთ, ნუ დამძრახავთ, თვითონ თემაა ასეთი... დიახ, თემაც და ობიექტიც, ვისზეც უნდა მოგახსენოთ. სხვათა შორის, ბოლო დროს, როცა საზოგადოებისთვის მიუღებელ ადამიანებზე, ანუ ცხოვრებისეულ ქარაქუცებზე ვწერ, ხშირად მსაყვედურობენ, ბატონო გელა, თქვენი ძვირფასი კალამი ასეთ არარაობებზე უნდა ცდებოდესო? სადღაც

გულის კუნჭულში კი მსიამოვნებს, ასეთი კარგი წარმოდგენა რომ აქვს ზოგიერთს ჩემზე, მაგრამ ნება მიბოძეთ, არ დავეთანხმო: ჯერ ერთი, მე ვალდებული ვარ, სწორედ ქარაქუცები ვამხილო, რადგან ქართული (ასევე ქარაქუცა) ტელეარხების სტუდიებში მათ იწვევენ ჭკუის საკითხავად და მეორეც – თუ საკითხს ასე ზერელედ მივუდექით, მაშინ გამოდის, ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს ყოფით პრობლემებზე არაფერი უნდა დაეწერათ. არ იფიქროთ, ამ ორ ბუმბერაზს ვედრებოდე, ღმერთმა დამიფაროს, უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი დიდი კლასიკოსებიც კი მომენტს არ უშვებდნენ ხელიდან, სულ ჩასაფრებულნი იყვნენ, რათა უმნიშვნელო ცხოვრებისეული პრობლემაც კი არ გამორჩენოდათ. თუ ილია ჭავჭავაძე კახური სიდინჯით წერდა და ლამის მეცნიერულ დონეზე იკვლევდა ყველა სატკივარს, აკაკი წერეთელი იმერული სიფიცხით აღწერდა უამრავ მანკიერებას და ხშირად უხეშობდა კიდევაც. აბა, წარმოიდგინეთ, ნატა ფერაძე ან მისი მსგავსი ვინმე რომ ენახა ილიას, ხომ დაწერდა შედევრს სათაურით: „ქალია ადამიანი“? ხოლო აკაკი კიდევ ერთხელ ჩაიქნევდა ხელსა და იტყოდა, მომავალმა შეჰქმნა დემოკრატია კი არა, გაუგებარი აჯაფსანდალიო.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავატრაკო... უი, უკაცრავად, ბევრი რომ აღარ ვწერო ზოგადად, გადავალ კონკრეტულზე. ესე იგი, ქალბატონი ნატა ფერაძე, რომელსაც მუდამ შუა თითი აქვს გაფშეკილი და ტელევიზიიდან ტელევიზიაში დაატარებენ დიდ მოაზროვნესავით, განა სულ ეგეთი დარდაკი იყო? არა, როგორ გეკადრებათ, უბრალოდ, ისიც ჩვეულებრივ ბავშვად დაიბადა, ჩვეულებრივად ღნაოდა, ხშირად საკუთარ ქაქს ჭამდა, იფსამდა და ასე შემდეგ. თუმცა იყო მასში ერთი არაჩვეულებრივი რამ, რამაც სამშობიარო პერსონალი დიდად გააოცა – ახლად დაბადებულს, რომელსაც ჯერაც არაფერი ერქვა, მარჯვენა ხელის შუა თითი ტრაკში ჰქონდა გარჭობილი. ექიმები ღრმად ჩაფიქრდნენ, ვერ გაეგოთ, რა მოვლენასთან ჰქონდათ საქმე, რატომ მაინც და მაინც მარჯვენა ხელის შუა თითი და თანაც ტრაკში? წესით, ახალშობილს თითი უნდა ჰქონოდა ცხვირში... აი, მაგალითად, როგორც სალომე სამადაშვილს. მართალია, მან ბავშვობაში საკუთარი ცხვირი ისე მოიგლიჯა საჩვენებელი თითით, როცა წამოიზარდა, ოპერაცია დასჭირდა, მაგრამ ეს მაინც არ ჩაითვალა ანომალიურ მოვლენად.

მოკლედ, დახედეს ნატას ექიმებმა, ექთნებმა, დამლაგებლებმა და დანიშნეს კონსილიუმი, რათა მსოფლიოსთვის ეცნობებინათ ამ უჩვეულო მოვლენის შესახებ. შეიკრიბნენ. ზოგმა თქვა, ეს ბედნიერების ნიშანიაო. ზოგმა – პირიქით, შფოთიანი ცხოვრება ექნებაო. თუმცაო, განაცხადა ერთმა მხცოვანმა აკადემიკოსმა, ჩვენ შეგვიძლია, ამ ბავშვს ოპერაციის შედეგად ტრაკიდან თითი გამოვუღოთ, მაგრამ ამ თითს ცხოვრებაში როგორ გამოიყენებს, მაგაზე პასუხს ვერ ვაგებთო. კონკრეტულად რას გულისხმობთო? რას ვგულისხმობ და იმას ვგულისხმობ, რომაო, განაგრძო მხცოვანმა აკადემიკოსმა, საერთოდ, ტრაკიდან გამოღებული თითი შეიძლება ამჟამინდელმა პაციენტმა მომავალში არადანიშნულებისამებრ გამოიყენოსო. უფრო მკაფიოდ აგვიხსენითო, დაიჟინა ერთმა ცნობილმა ექთანმა. ესე იგიო, მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია თავი მხცოვანმა, არსებობს ტრაკიდან გამოღებული თითის ორი ასპექტი, სოციალური და პოლიტიკური, შეიძლება, როცა ბავშვი გაიზრდება, ეს თითი გამოიყენოს ტორტის გასასინჯად, ნაყინის გასასინჯად, კარაქის გასასინჯად, მურაბის გასასინჯად და ასე შემდეგ, მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ, რომ ამ თითს არ გამოიყენებს ვინმეს თვალში სატაკებლად, საზოგადოებისთვის ზიანის მისაყენებლად, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ შეიძლება ამან ეს თითი სხვას ატაკოს ტრაკში ყოველგვარი მიზაზის გარეშე, ახლა გასაგებიაო? კიი, გასაგებიაო, ჩაილაპარაკეს კონსილიუმის წევრებმა და გადაწყვიტეს, მაინც ჩაეტარებინათ ოპერაცია, რაც იქნება, იქნება, ბოლოს და ბოლოს იმას მაინც გავიგებთ, სამედიცინო თვალსაზრისით მოვლენები როგორ განვითარდებაო.

ჩატარდა ოპერაცია. ახალშობილს თითი გამოუღეს ტრაკიდან. ამოისუნთქეს დაძაბულმა მშობლებმა, ჩვილი გაახვიეს ადიელაში და წაიყვანეს სახლში. მას შემდეგ ამ დუნიაზე ბევრმა ნიაღვარმა ჩაიარა, ჩაილურის წყალიც ბევრმა დალია. სამწუხაროდ, ქვეყანაში ისე წავიდა საქმე, ტრაკიდან თითგამოღებული ბავშვი თითქმის ყველას მიავიწყდა. თუმცა, ჰოი, საოცრებავ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ანუ მიხა სააკაშვილის გაქცუნების შემდეგ დედაქალაქში გაჩნდა ქალი... უფრო სწორად, ქალის მსგავსი არსება, რომელიც დღემდე ყველას

შუა თითს უჩვენებს პროტესტის ნიშნად.

ისევ შეიკრიბა კონსილიუმი. ბევრი დაბერებულიყო, ბევრი გარდაცვლილიყო, მაგრამ ვინც დარჩენილიყო, იმათაც ძალიან ბუნდოვნად ახსოვდათ თითი და ტრაკი. ცნობილმა ექთანმა თქვა, სამწუხაროდ გამართლდა აწ გარდაცვლილი აკადემიკოსის ვარაუდი, ბავშვი გაიზარდა და ტრაკიდან ოპერაციის შედეგად გამოღებულ თითს პოლიტიკური თვალსაზრისით იყენებსო. ნუთუო, წამოიძახა ერთდროულად რამდენიმემ. კი, მაგრამ ამ თითს უსამართლობის წინააღმდეგ იყენებსო? იკითხა ერთმა უკვე დაჩამიჩებულმა ექიმმა. ნუ, როგორ გითხრათ, ხშირად რამსები ერევაო, მიუგო ექთანმა. კონსლიუმმა დაწერა ორსიტყვიანი დასკვნა: „მოსტყვნია პატრონი“.

მიუხედავად ასეთი უხეში დასკვნისა, ნატას მაინც გაუმართლა, ტელესივრცისთვის მიღებული პერსონა გახდა. როგორც კი ერთ-ერთ თანამდებობის პირს შუა თითი აჩვენა, ეგრევე მიიწვიეს სტუდიაში და ჭკუის გამოკითხვა დაუწყეს. მართალია, ჭკვიანური ვერაფერი თქვა, მაგრამ შეკითხვაზე, აქამდე რას აკეთებდითო, ამაყად და ცოტა გაღიზიანებულმაც კი მიუგო: მეო, სხვათა შორისო, 2012 წლამდე ვტყნაურობდიო. ნუ, ეხლა აღარ დაუკონკრეტებია, ამ საქმეში შუა თითს იყენებდა თუ საჩვენებელ თითს. რაღა დაგიმალოთ, ჩვენი გამოშტერებული ტელემედია ძლიერ მოხიბლა შუა თითის ეფექტმა, საკმარისია, ნატამ ვინმეს აჩვენოს, ეგრევე იწვევენ ჩამოტარები თ. გადართავ – ნატა ზის სტუდიაში, გადმორთავ – ნატა ზის, გამორთავ – მაინც ნატა ზის. ჰო, მხოლოდ ზის და პერიოდულათ შუა თითებს აჩვენებს ჩვენს ზეგანათლებულ საზოგადოებას. უნდა გითხრათ, რომ ჩვენი ზეგანათლებული საზოგადოების ნაწილს მისი ჟესტები აღფრთოვანებს და ექსტაზშიც კი აგდებს. თუ თავიდან ნატა ტრაკიდან გამოღებულ თითს ცოტა უხეშად, ანუ არასექსუალურად ხმარობდა, ბოლო დროს შესამჩნევად დახვეწა, უფრო რაფინირებული და სექსუალური გახადა. ყოველ შემთხვევაში, ტელეჟურნალისტებს და როგორც გითხარით, საზოგადოების ზეგანათლებულ ნაწილს მოსწონთ.

რა იქნება შემდეგ? ტრაკიდან თითის გამოღების სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ თუ ნატამ შუა თითის ჩვენების ილეთები უფრო დახვეწა, მას უდიდესი მომავალი აქვს. ზოგიერთი არც იმას გამორიცხავს, თბილისის რომელიმე ცენტრალურ ქუჩას ნატა ფერაძის სახელი ეწოდოს და იქვე დაიდგას გაფშეკილი, ანუ ამდგარი შუა თითის ძეგლიც. გარკვეულ წრეებში იმასაც ვარაუდობენ, რომ ამ იდეას მოწინააღმდეგეები აუცილებლად გამოუჩნდებიან. თუმცა იქვე აცხადებენ, პარლამენტის წინ აქციები გაიმართება და ამ მონაპოვარს მაინც არ დავთმობთო, შუა თითი ჩვენი თავისუფლების სიმბოლოაო.

მეგობრებო, ამათ ჯიშსა და ჯილაგს რომ ვიცნობ, მართლაც არ დათმობენ თავისუფლებას, დანარჩენი კი დროის ამბავია. თუ რა მოხდება, თუ რა როლს ითამაშებს ტრაკიდან გამოღებული თითი საქართველოს უახლოეს ისტორიაში, ამაზე შემდგომ მოგიყვებით... აბა, მეტი რა საქმე მაქვს?!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

„ზამპალიტო“, თავს ჭკუა დაატანე და დაფიქრდი, რას ლაპარაკობ...“

რუსულ მედიაში პოლიტოლოგებმა, ექსპერტებმა, ანალიტიკოსებმა ლამის მეორე დღესვე მისცეს შეფასება თბილისში განვითარებულ მოვლენებს, რადიკალურ ოპოზიციას „ყარიბი“ სააკაშვილის მეთაურობით, რუსთაველის გამზირზეც უნდოდათ „მაიდნის“ მოწყობა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხესო. ყველა ზემოჩამოთვლილ რესპონდენტი აღნიშნავდა, საქართველო ორი წელი იხვეწებოდა, რომ ასამბლეის ფორუმი თბილისში გამართულიყო, შეხვედრის პროტოკოლიც კარგად იცოდნენ, ასე რომ, პროტესტის მიზეზად სერგეი გავრილოვის საქართველოს პარლამენტის სპიკერის სავარძელში ჩაჯდომის დასახელება სასაცილოა, საერთოდ რომ არ ჩასულიყო იქ რუსული დელეგაცია, ეს არეულობა მაინც მოხდებოდაო.

პარლამენტის სხდომათა დარბაზში განვითარებული სამარცხვინო პროცესის (კოლექტიური ნაცებისა და მათი ფანკლუბის მიერ „გმირობად“ შერაცხული) დეტალების მოყოლით თავს არ შეგაწყენთ, რამაც საქართველოს საერთაშორისო იმიჯი სერიოზულად შელახა. რუსული მედიაში ერთხმად აღნიშნავენ, რომ სტუმართმოყვარეობით ლამის მთელს მსოფლიოში გამორჩეულ საქართველოს, ნამდვილად არ ეკადრებოდა ის იაფფასიანი სპექტაკლი, რომელიც პარლამენტის შენობაში გამართეს კოლექტიურმა ნაცებმა, ხუთჯვრიან პარტიულ დროშაში ტოლმასავით გამოხვეული, კაგებეს საკურატორო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ელენე ხოშტარიას მეთაურობით. რადიკალური ოპოზიცია დიდი ხნის წინ გეგმავდა არეულობას, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით გადაყენებას. ვინმეს გჯერათ, რომ ასე უცებ, 15–20 წუთში სპონტანურად გამოვარდა პარლამენტის წინ ათასობით მომიტინგე, რომელიც პლაკატებითა და სხვა „საპროტესტო“ ატრიბუტიკით აღჭურვილიო. ეს არც საქართველოში სჯერდათ და სჯერათ მეტნაკლებად საღად მოაზროვნე ადამიანებს.

ახლა რაც შეეხება „პატრიოტი ნაცების“ მიერ მოწყობილი აქციის რეალურ მიზეზებსა და მიზანს, რაზეც რუსული მედია და საექსპერტო წრე საუბრობს. ამ არეულობის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, რუსეთის სახელმწიფო ტელეარხის პოპულარულ თოქშოუში რადიოსადგურ „ვესტის“ ჟურნალისტმა **გია სარალიძემ** განაცხადა, უკრაინასთან ერთად საქართველოშიც იგეგმება ლგბტ თემის ორკვირიანი ე.წ. პრაიდი, რაღაცა კონფერენციებითა და ქუჩაში მსვლელობით. საქართველოში ასეთი „ღონისძიების“ ჩატარება, ფანტაზიის სფეროს

განეკუთვნებაო. ჟურნალისტის ამ განცხადებამ ფრიად აღაშფოთა საბჭოეთიდან აშშ-ში „ექსპორტირებული“ ანალიტიკოსი გრეგ ვაინერი, იგივე გრიგორი ვინიკოვი, ქართველები რით განსხვავდებიან სხვებისგან, სადაც ტარდება ასეთი მსვლელობები, თუ ევროპა უნდათ, არც გეი-პარადი უნდა იყოს მათთვის მიუღებელიო. ამჯერადაც შოუს თანაწამყვანმა სოლოვიოვმა გადაარჩინა გალახვას მატრაკვეცა ვაინერ-ვინიკოვი, რომელიც თავისი ღვარძლიანი, ვითომდა ძალიან ობიექტურ-დემოკრატიული რეპლიკებით, არაერთხელ გამხდარა ტრადიციული ღირებულებების მომხრე რესპოდენტების თავდასხმის ობიექტი. სოლოვიოვმა ერთხელ საერთოდ გააპანღურა სტუდიიდან ებრაული წარმოშობის ვაინერი, რომელიც თურმე განსხვავებას ვერ ხედავს ფაშისტებსა და იმ საბჭოთა ჯარისკაცებს შორის, რომლებმაც პირველ რიგში სწორედ ვაინერის ეთნოსი გადაარჩინეს. სარალიძის განცხადებით, ქართველები, თუ ისინი ნამდვილი ქართველები არიან, მართლაც არიან გამორჩეულები, მათ ათასწლეულების მანძილზე შეინარჩუნეს მართლმადიდებლობა და ენა, რასაც არც ახლა დათმობენ.

ვისაც როგორ უნდა ისე აღიქვას ჰომოსექსუალიზმი, მაგრამ ქართველების გენეტიკურ კოდში დევს, რომ

ეს მიუღებელია. ვიღაცებს შეიძლება ჰომოფობიად მიგაჩნიათ ეს მიუღებლობა, ჩემთვის ეს ტრადიციაა. ის არავის ჩაგრავს, თავიანთ ლოგინში ვისაც რა უნდა ის აკეთოს, არავინ უკრძალავს, მართლმადიდებლური თუ გრიგორიანული ტაძრების, სინაგოგებისა და მეჩეთების გვერდით გეი-პარადების მოწყობა, თან იმ ფორმებით, როგორც ატარებენ ხოლმე, არის დანარჩენი საქართველოს გამოწვევა. თურმე გეი-პარადის ჩატარებაა უმთავრესი, ამის გარეშე საქართველო ევროპაში არ შეუშვებენ. იგივე რუსეთში როდესაც ევროპულ არჩევანზე საუბრობდნენ, აქცენტი იმაზე კეთებოდა, ცხოვრების დონე გაუმჯობესდება, მაღალი ხელფასები და პენსიები, უკეთესი ჯანდაცვის სისტემა იქნებაო, სინამდვილეში რა ყოფილა? მოგვწონს თუ არა, ვალდებული ვართ მხარი დავუჭიროთ გეი-პარადებს, ერთსქესიანთა ქორწინებას. ამას თავზე ახვევენ საქართველოს, რომლის მოსახლეობის 90% ტრადიციული რელიგიური აღმსარებლობის, აქედან დაახლოებით 70% მართლმადიდებელი, ძალზე მორწმუნე ხალხია. მე საქართველოს კარგად ვიცნობ, იქ გავიზარდე, ჩემი მეგობრები ცხოვრობენ, იქაური საზოგადოების ნაწილი, რომელიც თავის თავს ლიბერალს უწოდებს, არის უმცირესობაში, მაგრამ მაინც ცდილობს უმრავლესობას თავზე მოახვიოს ეს ვითომდა ლიბერალური ღირებულებები, რაშიც დიდი ენთუზიაზმით ეხმარებია ევროპული ქვეყნების ხელისუფლებები და დიპკორპუსი. საქართველოს უხუცესი პატრიარქი, რომელსაც მოსახლეობის ლამის 100% ნდობა აქვს, ამბობს რომ არ შეიძლება გეი-პარადის ჩატარება, ესენი მაინც თავისას იმეორებენ, თან თურმე პოლიციამ უნდა დაიცვას, აი, ეს არის რეალურად ევროპული არჩევანი. ყველამ უნდა გაიაზროს რომ მრავალსაუკუნოვანი მართლმადიდებლური ისტორიის მქონე საქართველოსთვის მიუღებელია სოდომ-გომორის დამკვიდრება და ამას არც დაუშვებენ“.

ნიშანდობლივია, რომ ყველაზე მეტად ის ხალხი იბრალებს ღვთისმოსავობას, პატრიოტობას, თავისუფალი სიტყვის თუ ადამიანის უფლებების გულმხურვალე დამცველობას, რომლებიც თავისი წარსულით ყველაზე მეტად იყვნენ დაკავშირებული ათეისტურ კომუნისტურ იდეოლოგიასთან თუ ძლევამოსილ კაგებესთან. ერთ ასეთ ახალგამომცხვარ ლიბერალს, რომელიც თურმე კომუნისტების მმართველობისას სამხედრო ნაწილის უფროსის მოადგილის თანამდებობას იკავებდა იდეოლოგიის დარგში და დღეს ძალზე შეუწუხებია ქართველების „ჰომოფობობას“, რას ჰქვია გეი-პარადს არ ატარებთო, სოლოვიოვის რისხვა დაატყდა, „ზამპალიტო“, თავს ჭკუა დაატანე და დაფიქრდი რას ლაპარაკობ, ახლა იქნებ ვატიკანში მოითხოვო გეი-პარადის ჩატარება და რომის პაპი ადამიანის უფლებების დამრღვევად გამოაცხადოო. რისი თქმა გინდათ ლიბერალებს, რომ ყველა მორმუნე იუდეველი, ქრისტიანი და მუსულმანი ნაცისტიაო, გაამერიკელებული ვაინერი თურმე მთლად ასე არ თვლის, მაგრამ ლგბტ თემის წარმომადგენლებს გეი-პარადის ჩატარების უფლება აქვთო. ჟურნალისტის კითხვამ, ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ რომელ დოკუმენტში წერია ეგო, ამერიკელი ანალიტიკოსი დააბნია, დოკუმენტი არ ვიცი, ეს არის მიღებული საერთო ევროპული წარმოდგენებიო.

„დემოკრატია-ცივილიზაციაში“ უკრაინამ გვაჯობა, „პრაიდი“ ანუ გეი-აღლუმი ჩაატარეს იქაურმა „ფერადოვნებმა“. ისე, რა შუაში არიან პრაიდთან ლგბტ თემის წევრები, ვერც ჩვენ გავარკვიეთ, პრაიდი ინგლისური სიტყვაა, რომელსაც ორი მნიშვნელობა აქვს, სიამაყე და ლომების ოჯახი, ან ერთთან ან მეორესთან რა „შეხება“ აქვს ამ მოკრიახე „კონტიგენტს“, თავად ეცოდინებათ, რა თქმა უნდა, მხარდამჭერების ჩათვლით. იცოდნენ რა, რომ საქართველოში გამორიცხული იყო, დედაქალაქის მთავარ გამზირზე „ლომებივით“ ჩაეძუნძულ ამ „ამაყ“ ოჯახს, ამათმა, კოლექტიური ნაცების ჩათვლით, უცხოელმა მამა-მარჩენლებმა დადგეს ბინძური სპექტაკლი, რითაც ყველაზე მეტად რა თქმა უნდა, საქართველო დაზარალდა. ეს მხოლოდ ერთი მიზეზია. მეორე ის გახლავთ, რომ საქართველოში რუსი ტურისტების სიმრავლემ, ახლო მეზობლებთან ერთად, ოკეანისგაღმელი „მეგობრებიც“ გააღიზიანა. გადაცემა „60 წუთის“ წამყვანის, ჟურნალისტ ევგენი პოპოვის განცხადებით, საქართველოს გარედან მართული რადიკალური ოპოზიციისთვის, რუსი დეპუტატაციის თბილისში ვიზიტი, უბრალოდ ხელსაყრელი საბაბი იყო თავიანთი ზრახვების გასახორციელებლად. ეს ჯგუფი მართლმადიდებლური ასამბლეის ფარგლებში იყო ჩასული, რომელსაც დეპუტატი გავრილოვი ხელმძღვანელობდა, ფორუმის თავმჯდომარეც ის იყო სპიკერის სავარძელშიც ამ ფორმატის ფარგლებში ჩასვეს. თითქოს შემთხვევით იყო, ასეთი ალბათობა კი მილიონიდან ერთია, რომ ამ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენთის თანამშრომელმა განაცხადა, რუსეთ-საქართველოს შორის ღია კარის პოლიტიკა, საქართველოს კარგას არაფერს მოუტანსო. ჯო ბაიდენის რომელიღაც მრჩეველმა, რომელიც სამი დღე სტუმრობდა საქართველოს, თურმე ფრიად „შეაშფოთა“ რუსი ტურისტების სიმრავლემ. რუსეთის მოქალაქეები, საქართველოში უძრავ ქონებასაც ყიდულობენ და ქართველები ერთ დღეს აღმოაჩენენ, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიების 20% კი არა, 100% აქვს ოკუპირებულიო.

ეს ამერიკელი „გულშემატკივარს“ რატომღაც ის არ „აშფოთებს“, აზიელმა და აფრიკელმა მიგრანტებმა რომ წალეკეს საქართველო, რომლებიც გამალებით ყიდულობდნენ და ალბათ დღესაც ყიდულობენ უძრავ ქონებას. პოპოვის განცხადებით, ოკეანისგაღმელთა ეს მოწოდება ნაცებისა და მათი ბელადისთვის სიგნალი იყო, გადასულიყვნენ აქტიურ მოქმედებაზე, ხელსაყრელი მიზეზიც გაუჩნდათ, „ოკუპანტების“ ვიზიტი გააპროტესტეს. გავრილოვთან დაკავშირებით, მთლად თითიდან გამოწოვილი მიზეზი ჰქონდათ, ამ კაცს არასდროს უბრძოლია ქართველების წინააღმდეგ და არც არც თავი მოუწონებია ამითო. წინასწარ ორგანიზებულმა ათასობით „პროტესტანტმა“ დაიკავა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია, საკაშვილი უკრაინიდან ჩაერთო მოვლენებში და მომიტინგეებს ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდა. რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოების „დაცულობის“ საილუსტრაციოდ რუსულ ტელეარხებზე სისტემატურ რეჟიმში ტრიალებს, როგორ ესხმიან ნაცპროვოკატორები თუნდაც ოკუპანტი ქვეყნის სტუმრად მოწვეულ საპარლამენტო დეპუტაციას, როგორ გაჰკივის მართლა „კანტუჟენი“ პარლამენტარად წოდებული კაკოია ბობოხიძე, რომ რუსებს ყოველთვის ხოცავდა და კიდევ დახოცავს. ნეტა რომელ ფრონტზე იბრძოდა და ხოცავდა „მტერს“ ეს საკუთარი ბელადივით „ჩასვრილი“? მხედრიონელი რომ იყო და ასევე მხედრიონელ სიმამრთან, საგარეჯოელ გელა გოდერძიშვილთან, იგივე „მაჭახელასთან“ ერთად რა „გმირობები“ აქვს ჩადენილი უიარაღო ქართველების წინააღმდეგ, ეგ ყველაზე უკეთ ალბათ კახელებმა იციან. ერთმა ნაცმდედრმა ისიც დაწერა ფეისბუქში, ძალიან კარგია თუ აღარ ჩამოვლენ რუსი ტურისტები, ჩვენი პროდუქცია აღარ გავა რუსეთში ექსპორტზე, ხალხი გაღარიბდება, დაიმშევა, გამწარებული მიუვარდება მოქმედ ხელისუფლებას და დაამხობსო. ეს ჭკუანაკლულთა სექტა იმას ვერ ხვდება, რომ თუ მართლა პრობლემა შეექმნა რუსეთთან ბიზნესურთიერთობებს, გამწარებული ხალხი ამ პრობლემების ინიციატორებს, პროვოკატორ ნაცსექტას მიადგება და პარლამენტთან „მშვიდობიანი“ მიტინგის დაშლა, ნირვანა მოეჩვენებათ.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

საპატრიარქოს სინოდშიც არიან მაღალი იერარქიის წარმომადგენლები, რომლებიც ჩართულნი არიან სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში

ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვართან, მამა ბასილ მკალავიშვილთან

— მამაო, როგორია თქვენი პოზიცია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით?

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ.

ჩვენთან არს ღმერთი.

დღეს, 21-ე საუკუნეში, ჩვენს სამშობლოს მორიგი უმძიმესი ჟამი დაუდგა. წინა საუკუნეებში თუ გარეშე მტრები გვიტევდნენ და გვაოხრებდნენ, ამჯერად შინაური მტრების მეშვეობით ხდება ჩვენი განადგურება.

როგორც სასულიერო პირი, შეძრწუნებული ვარ იმ უმძიმესი მდგომარეობით, რომელიც, სამწუხაროდ, სათავეს იღებს 1991–92 წლების მოვლენებიდან.

მე, ჩემი მრევლით სისტემატიურად, მშვიდობიანი ფორმით სათანადო ორგანოებისგან ვითხოვდი, დაგვეცვა უძველესი ტრადიციული მართლმადიდებელი ერი ჯორჯ სოროსის მიერ შემოგზავნილი მტრებისგან. სავალალოდ, არავინ დაგვიდგა გვერდით და შედეგიც სახეზეა. რამდენჯერ ვაფრთხილებდი საპატრიარქოს, გამოეყენებინათ ღვთისგან მონიჭებული უფლება, მიეხედათ სექტანტთა შემოსევისათვის, მაგრამ არანაირი რეაგირება არ ყოფილა. ანტიქრისტიანულმა ბნელმა ძალებმა ჯერ სექტანტების მეშვეობით დაგვიწყეს შემოტევა ეროვნული ღირებულებების გადაფასებისთვის, შემდეგ ჩართეს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მატარებლები. მავნე ჩვევა ყოველთვის იყო საზოგადოებაში, მაგრამ შენიღბულად, კარს მიღმა, დღეს კი მანკიერმა პროპაგანდამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. გიგა ბოკერიასა და მისი მეუღლის დახმარებით დღეს ისინი გარკვეულ უფლებებსაც კი ითხოვენ, უფრო მეტიც, ე.წ. გეიპარადის ჩატარების გეგმაც მათ კისერზეა. პირდაპირ ვიტყვი, ამ ადამიანებს, უზნეო ხალხის პარადის ჩატარების სანაცვლოდ, დიდი თანხა აქვთ აღებული, რათა მსოფლიოს აჩვენონ, რომ საქართველოშიც ტარდება მათი საჩვენებელი გამოსვლა. „ნაცმოძრაობას“ ასევე დაგეგმილი აქვს მოახდინონ სახელმწიფო გადატრიალება, რათა მოვიდნენ ქვეყნის მმართველ რგოლებში. „ნაცმოძრაობის“ სატანისტური სექტის წარმომადგენლები სააკაშვილის მეთაურობით, კვლავ ცდილობენ მართონ ქვეყანა 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმის ფორმებით. ყოველგვარი ანტისახელმწიფოებრივი პროცესი, რასაც რეალურად ვუყურებთ, მსოფლიოს გარშემო ქაოტურად მოხეტიალე, ქართველთმოძულე ჯალათი სააკაშვილისგან იმართება. სააკაშვილისგან, რომელიც აქ ჩამოსვლას ვერ ელირსება. წინაპართა სისხლით მორწყული მიწა მას არ მიიღებს, რამეთუ დატოვა გაჩანაგებული ქვეყანა და დღემდე ეწევა ძირგამომთხრელ, მზაკვრულ საქმიანობას. ქართველი ხალხის შრომის ხარჯზე სხვადასხვა ქვეყნებში აქვს ფეშენებელური სასახლეები. მას, ალბათ, მოუწევს მუდმივად უცხოეთში ყოფნა და ლოდინი უზენაესის სასჯელისა, რომელსაც ვერაფრით გაექცევა.

აქვე მინდა შევახსენო ირაკლი ოქრუაშვილს, იქნებ გაიხსენოს 2004 წლის 12 მარტი და მოუთხროს ამბები იმ ახალგაზრდებს, ვისაც ბრმა იარაღად იყენებენ. ოქრუაშვილის სინდისზეა დიდი მარხვის პერიოდში ჩვენი ღამენათევი მრევლის ბარბაროსული დარბევა. მისი პროკურორობის დროს 100-მდე მლოცველს 3000-მდე კბილებამდე შეიარაღებული სპეცნაზელი დაგვესხა თავს. უმოწყალოდ გვცემეს, ეკლესიის ეზოში სისხლის გუბეები დააყენეს... რისთვის, იქნებ, უპასუხოს, რისთვის დახვრიტეს აკადემიკოსი გურამ შარაძე, იქნებ, ბოკერიას ჰკითხოთ, რა აქვს ჩადენილი ციხის მოვლენებთან დაკავშირებით. რატომ ხვრეტდნენ ციხის საკნებში დაუცველ პატიმრებს. მაშინ მეც პატიმარი ვიყავი და საკუთარი თვალით ვხედავდი, რა ხდებოდა ციხის საავადმყოფოში. ეს და სხვა არაადამიანური წამების ფაქტები ნაცების მმართველობის დროს დღემდე პასუხგაუცემელია.

ჩვენი მსაჯული ღმერთია, რომლის წინაშეც ყველა წარვსდგებით. გეშინოდეთ, მამა აბრაამის ბატკნებად რომ წარმოაჩენთ თავს და ახალგაზრდებს დანაშაულისკენ უბიძგებთ. მართლაც ბევრს გითმენენ სამართალდამცავი ორგანოები. როგორც სააკაშვილმა მიატოვა ახალგაზრდები 2008 წელს რუსული არტილერიის პირისპირ, ასევე თქვენც მიატოვეთ ბავშვები სპეცრაზმის წინაშე. თქვე ბავშვების მკვლელებო, გეყოთ, ამდენი ბოროტება. არ გეცოდებათ თქვენი ოჯახების მომავალი თაობა, ამდენ ცოდვას რომ უტოვებთ? თუმცა რწმენა, ღმერთი, ცოდვა-მადლი თქვენგან შორს არის.

— მამაო, არავის არ უნდა გაეპროტესტებინა ოკუპაცია?

— ჩემო კარგო, 1000, 2000 ან 5000 ადამიანი ერს, საქართველოს არ წარმოადგენს. ქართველი კაცი გონიერია. ყოველი საღად მოაზროვნე ხვდება, ნაციონალების მიერ რა დონის დადგმული სპექტაკლი ვიხილეთ. ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ გაზულუქებულმა, კოჰაბიტაციით ძალამოკრებილმა, სოროსის მიერ მართულმა ნაციონალურმა ბანდამ ყოველგვარ ხერხს მიმართა, რათა დაკარგული უფლებები აღედგინათ. მათ ჯერ, მომიტევოს უფალმან, შვილმკვდარი მამები გამოიყენეს, შემდეგ მამათმავლები, ამჯერად თავიანთი ხელით პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში დასმული რუსი პარლამენტარი და უფრო მეტიც, ქართველი ახალგაზრდობაც.

მე, პირადად, ერთი სასულიერო პირი, მადლობელი ვარ გიორგი გახარიასი, რამეთუ მან გადაარჩინა ქვეყანა კიდევ ერთი გადატრიალებისგან. თუმცაღა სპეცრაზმში შეპარულმა „ნაცმოძრაობის“, კერძოდ, სააკაშვილისდროინდელმა სპეცნაზელებმა გამოიყენეს მომენტი და შეძლეს პირდაპირი დამიზნებით, რეზინის ტყვიებით, მომიტინგეთა დაშავება. ამაზრზენია, როცა დეპუტატი, პარლამენტარი ნიკა მელია მოუწოდებდა შტურმისკენ, მისგან ხელისუფლების ხელში ჩაგდების ისეთი ჟინი გამოსჭვიოდა, კიდევ კარგი, დროულად შეუჩერეს იმუნიტეტი, თორემ რას ჩაიდენდა, წარმოუდგენელია. გიგი უგულავა და „ნაცმოძრაობის“ სხვა წევრები რა უშვერი სიტყვებით იგინებოდნენ, მომიტინგეები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, რკინის ბლაგვი საგნებით, ქვებით, სხვადასხვა ხერხით ესხმოდნენ თავს პოლიციელებს. ასეთი გავეშებული ახალგაზრდობა პირველად ვიხილე ასეთი უზადო დათმენა პოლიციელთა მხრიდან.

როგორ შეიძლება 20 ივნისის მოვლენების შედარება 26 მაისთან და 7 ნოემბერთან. წინა წლებში პოლიცია ესხმოდა თავს მოსახლეობას, 20 ივნისს კი პირიქით, პოლიცია იცავდა თავს და პარლამენტის შენობას მომიტინგეთა შეტევისგან.

ირანდა, გენაცვალე, არ ვიცი, ხართ თუ არა საქმის კურსში „რუსთავი-2“-ის ეთერში გაშვებული ექსკლუზიური მასალის შესახებ? სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, ეს მასალა გადაიღო „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთმა სპეცნაზელმა, რომელიც მანქანიდან იღებდა. შემდეგ კი „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტს მიაწოდა. გეკითხებით, ყოველივე ამას ვინ ჩაიდენდა, თუ არა სააკაშვილის დაჯგუფების წევრი.

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ საქართველოს სიყვარულით „გულანთებულთა“ გვერდით დგანან ლგბტ-ის აქტივისტები თავიანთი სიმბოლიკით და სხვა, საზოგადოებისთვის მიუღებელ დაჯგუფებათა ლიდერები. მრცხვენია, ახალგაზრდების გარკვეული საღი ნაწილი მათ გვერდით რომ დგანან. მივმართავ მათ: შვილებო, ვინც მიტინგებზე დგახართ, თუ ჭეშმარიტად გული შეგტკივათ ქვეყანაზე, სამშობლოზე, მის ბედზე, გააცნობიერეთ, დღეს გიყენებენ ქვეყნის ასარევად. მთელი პათოსით, ხმის ჩახლეჩამდე რომ გაჰყვირით: საქართველოო, ამ საქართველოს დღეს უჭირს და თქვენი მანდ დგომით უფრო მეტ ზიანს აყენებთ.

ჩვენ ვიცით, რომ, როგორც მთავრობაში, ასევე საპატრიარქოს სინოდშიც არიან მაღალი იერარქიის წარმომადგენლები, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ ბანდის თანამოაზრენი არიან და ბუნებრივად გახლავან ჩართულნი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში.

— ვინ არიან ეს ეპისკოპოსები?

— ჩვენ ვნახეთ მიტინგის დროს ქაშვეთის ტერიტორიაზე იყვნენ მეუფეები: პეტრე ცაავა და გრიგოლ ბერბიჭაშვილი თავიანთი მორჩილი სამღვდელოებით. ისინი ფიქრობდნენ, რომ „ნაცმოძრაობა“ შტურმით აიღებდა პარლამენტს და იმ ორი ეპისკოპოსიდან ერთ-ერთი პატრიარქის სავარძელს დაიკავებდა.

სწორედ ესენი ებრძვიან ბატონ გიორგის, იმიტომ რომ, მასში ძალას ხედავენ, რომელიც აშინებთ, ქართველი ერი მადლიერია მისი, რამეთუ ბატონმა მინისტრმა გეი-პარადთან მიმართებაში ნამდვილი ქართული ტრადიციული, სარწმუნოებრივი, კაცური პოზიცია დაიჭირა. როგორც ღვთის მსახური, მოვუწოდებ მას: იდექით შემართებით, მიენდეთ უფალს, მხოლოდ მისი იმედი გქონდეთ. ღმრთის შემწეობით ყოველივეს დაძლევთ. ყველაზე დიდი სიმდიდრე საღად მოაზროვნე საზოგადოების ნდობაა...

მართალია, ადამიანთა გარკვეული ნაწილი ამჟამად თქვენს ღვაწლს ვერ აფასებს, მაგრამ ისტორია და მომავალი თაობა გმირად შეგრაცხავთ, რამეთუ თქვენ იხსენით ქვეყანა მორიგი უბედურებისაგან.

ღმერთმა დაგლოცოთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

რატომ შეუყვარდა დონალდ ტრამპს ვლადიმერ პუტინი?

თამამად შეიძლება ითქვას, მსოფლიო საზოგადოების ყურადღება გასულ კვირას იაპონიისკენ იყო მიპყრობილი. „ამომავალი მზის“ ქვეყანა პირველად მასპინძლობდა „დიდი ოცეულის“ შეხვედრას. ფორუმზე, თავისთავად, სამყაროში არსებული ყველა მწვავე პრობლემის მოგვარება ვერ მოხერხდებოდა, მაგრამ სამომავლო კონტურები კი გამოიკვეთებოდა. პოლიტოლოგები G-20-ის სამიტს განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან მათი შეფასებით „დიდმა შვიდეულმა“ ძირითადი ფუნქცია დაკარგა, მეგობართა კლუბს დაემსგავსა და საკვანძო საკითხების მოგვარებასაც ვეღარ ახერხებს.

წინასწარ ვიტყვით, იაპონელები მართლაც ღირსეულად დახვდნენ სტუმრებს, რაც მოსალოდნელიც იყო. პოლიტოლოგების შეფასებით, „დიდი ოცეულის“ სამიტი სამი ქვეყნის — ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის და ჩინეთის დომინირებით ჩატარდა. ინტერესი სამიტისადმი მას შემდეგ გაიზარდა, რაც ცნობილი გახდა, რომ ოსაკაში ერთმანეთს პირისპირ აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტები დონალდ ტრამპი და ვლადიმირ პუტინი შეხვდებოდნენ. ამის შესახებ ინფორმაცია სამიტის დაწყებამდე ერთი დღით ადრე გავრცელდა. აქვე გავიხსენებთ, რომ ორი უდიდესი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრა ზედიზედ ორჯერ ჩაიშალა სხვადასხვა მიზეზებით. ბოლოს ტრამპსა და პუტინს შორის პირისპირ დიალოგი შარშან ჰელსინკში გაიმართა. მსოფლიოს ბიზნესმენები ასევე გულისფანცქალით ელოდებოდნენ დონალდ ტრამპისა და ჩინეთის მმართველის სი ძინპინის შეხვედრის შედეგს.

აშშ-რუსეთის მოლაპარაკებას პოლიტოლოგები განსაკუთრებულ მნიშვნელობას რამდენიმე მიზეზით ანიჭებდნენ, ერთ-ერთი ბირთვული იარაღი გახლდათ. სამხედრო ექსპერტების გამოთვლებით, მსოფლიოს ბირთვული იარაღის მარაგის 92% ამ ორ ქვეყანას გააჩნია. პოლიტოლოგების ნაწილი ტრამპი-პუტინის შეხვედრის დაწყებამდე ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილები. მათი აზრით, აშშ და რუსეთი ე.წ. „წითელ ხაზს“ არ გადაკვეთენ, რადგან ამით შეესაძლებელია, ფართომასშტაბიანი, სამყაროსთვის დამღუპველი ომი გამოიწვიოს.

დიალოგი დონალდ ტრამპსა და ვლადიმირ პუტინს შორის სამიტის პირველივე დღეს გაიმართა. ტრამპი პროტოკოლით მიღებულზე თბილად შეხვდა. რუს კოლეგას. ღიმილით მისალმებისას „დიდი ხანია, ერთმანეთი არ გვინახავსო“, უთხრა. დიალოგი პრეზიდენტებს შორის 1,5 საათს გაგრძელდა. საუბრის დაწყებამდე ტრადიციული მისალმების ფოტოსესიისას ერთ-ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა ტრამპს ფაქტობრივად, მოსთხოვა: „უთხარით, ჩვენს არჩევნებში აღარ ჩაერიოსო“. ტრამპმა ჟურნალისტს თხოვნა იუმორით შეუსრულა. შეხვედრაზე განიხილეს სირიის, ირანის, ვენესუელის საკითხები. როგორც ცნობილი გახდა, სავაჭრო ბრუნვა აშშ-რუსეთს შორის უახლოეს მომავალში გაიზრდებაო. ამ ინფორმაციამ ექსპერტებში გაოცება გამოიწვია — როგორ შეიძლება სანქციების არსებობის პერიოდში სავაჭრო ბრუნვის გაზრდა. დელეგაციის წევრების ინფორმაციით ასევე განიხილეს მწვავე საკითხები, რომლებიც დროებით ღიად დარჩა. კონკრეტულად რაზე ვერ შეთანხმდნენ, უცნობია. ვლადიმირ პუტინმა დონალდ ტრამპი ოფიციალურად მიიწვია მოსკოვში 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების 75-ე წლისთავზე. ვიფიქრებ ამის შესახებო, უპასუხა ტრამპმა.

შეხვედრის შემდეგ ორივე მხარე დიალოგით კმაყოფილი დარჩა. „დიდი პატივია პუტინთან შეხვედრა... ვფიქრობ, საუკეთესო ადამიანია და საუკეთესო შეხვედრაც გვქონდა... მეც და დელეგაციის წევრები მადლობას ვუხდით ვლადიმირს“, — განუცხადა ჟურნალისტებს დონალდ ტრამპმა შეხვედრის შემდეგ. „... მართლაც კარგი შეხვედრა გვქონდა პრეზიდენტ ტრამპთან. ყველა საკვანძო საკითხი გავიარეთ, მათ შორის, ეკონომიკურიც“, — აღნიშნა ვლადიმირ პუტინმა. სამომავლო კონტაქტისთვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც პირველი დიპლომატები მაიკლ პომპეო და სერგეი ლავროვო უხელმძღვანელებენ. აქვე სათქმელია, რომ აშშ-ში ყველა როდი დარჩა კმაყოფილი ტრამპი-პუტინის შეხვედრი თ. ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა განაცხადა, რომ ტრამპმა აშშ დაამცირა.

კიდევ ერთხელ (და უკვე მერამდენედ!) გააოცა სამყარო დონალდ ტრამპმა. იაპონიიდან იგი ვიზიტით სამხრეთ კორეაში გაემგზავრა.

პრეზიდენტების თანმხლებმა ჟურნალისტებმა თვალები მოიფშვნიტეს და გაოცებისგან პირიც დააღეს, როდესაც მეორე მხარეს, ჩრდილოეთ კორეის მხრიდან მათკენ მიმავალი კიმ ჩინ ინი დაინახეს. დონალდ ტრამპი მოსულს თბილად მიესალმა, ერთხანს მარტოებმა ისაუბრეს, შემდეგ კიმ ჩინ ინმა დონალდ ტრამპს თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე გადასვლა შესთავაზა (როგორც შარშან მუნ ჯინ ინს). ტრამპი დათანხმდა და გადავიდნენ ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე. იქ სიმბოლურად მისალმების შემდეგ კვლავ დემილიტირიზებულ ზონაში დაბრუნდნენ და გააგრძელეს საუბარი, სადაც კიმ ჩინ ინის დაც ჩაერთო. დონალდ ტრამპი აშშ-ის პირველი მოქმედი პრეზიდენტია, რომელმაც ფაქტობრივად, ფეხი დაადგა ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე!

გია ბურდული
551 71 27 07

ბრძოლა საქართველოსთვის

ბატონ გახარიას მიერ გამართულმა ბრიფინგმა ქვეყნის ტელევიზიის წამყვანებთან, კიდევ ერთხელ თვალნათელი გახადა (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა), ე.წ. ჟურნალისტების რა დონესთან გვაქვს საქმე.

საუბრის ელემენტარულ კულტურას, გამოთქმული აზრის ლაკონურად ჩამოყალიბებას, მაყურებლის სმენამდე მისატანი აზრის ლოგიკურობას და მოწვეულ სტუმრთან ურთიერთობის ელემენტარულ კულტურას მოკლებული, ე.წ. ტელეწამყვანების პირისპირ, – **დახვეწილი, აკადემიური ქართულით მოსაუბრე შინაგან საქმეთა მინისტრი, ბატონი გიორგი გახარია, გამოცდაზე ჩაჭრილი ჟურნალისტიკის სტუდენტების სამეცადინოდ მოწვეულ მასწავლებელს უფრო ჰგავდა, ვიდრე შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელსაც ტელეწამყვანების კითხვებზე უნდა ეპასუხა!**

ამიტომაც გაგრძელდა უსაშველოდ ბრიფინგი, სადაც რამდენიმე წუთში, ამომწურავად უპასუხა ბატონმა გახარიამ ყველა კითხვას, მაგრამ, იგი კიდევ დიდხანს არ დასრულდა, რადგან ე.წ. ტელეწამყვანები ჭეშმარიტების დადგენას კი არ ცდილობდნენ, მათ დაკვეთა ჰქონდათ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ **„გაეშავებინათ“** მოწვეული სტუმარი!

როგორც იტყვიან, – **კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, ბ-ნი გახარიას „გაშავების“ დამკვეთებს და შემსრულებლებს!**

სამაგიეროდ, აშკარად გამოიკვეთა ერთი, ფრიად სასიხარულო ამბავი, რომელსაც დარწმუნებული ვარ უამრავი მხარდამჭერი გაუჩნდება:

კარგა ხანია, საუბარი მიდის, **„ახალი, გაუსვრელი, მესამე ძალის“** გამოჩენა-ფორმირებაზე. ისიც ცხადია, ბოლო, მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, ყველა მხრივ დაკნინებული საქართველოს შემხედვარე, ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი აშკარად პესიმისტურად არის განწყობილი და ქვეყნის გადარჩენის ნაკლებად სჯერა. მაგრამ, ეტყობა, ჯერ კიდევ ყველაფერი არ დასრულებულა, არსებობს საშველი, არსებობს გაუტეხელი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნება, რომელიც ზემოთხსენებულ ბრიფინგზე **ბატონი გიორგი გახარიას სახით იხილა ტელემაყურებელმა!**

მკითხველს მოკლედ შევახსენებ ბატონი გახარიას რადიკალურ ნაბიჯებს მისი სამთავრობო ელიტაში მოსვლის დღიდან:

1. ბ-ნი გახარია იყო პირველი, ვინაც ეკონომიკის მინისტრის პოსტზე მოსვლისთანავე წითელი აუნთო კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის სამწლიან აფიორას „ანაკლია პორტის“ მშენებლობის გარშემო.

2. ბ-ნი გახარია იყო ის პირველი ქართველი მინისტრი, რომელიც არ დაემორჩილა პრემიერმინისტრის (კვირიკაშვილის) უკანონო ბრძანებას, სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დაეფინანსებინა, კერძო კომპანიის, ე.წ. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ პროექტი და რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ზარალი აეცდინა ქვეყანას.

3. სწორედ მისი პრინციპულობა გახდა საბაბი, ბ-ნი გახარია ჩამოეცილებინათ ქართული ეკონომიკის სადარაჯოდან და იგი გადაეყვანათ შს მინისტრად, სადაც, სამთავრობო ოპონენტების აზრით, მისი **„გაფუჭება“** გაცილებით ადვილი იქნებოდა და დაიწყო კიდეც გამძაფრებული შეტევა მასზე.

4. ამასობაში, ცხადი გახდა, რომ ბ-ნი გახარიას პრინციპულობა და შეუვალობა ქვეყნის გადარჩენის მიზანს ემსახურებოდა, საბედნიეროდ ამისი დამნახავიც მალევე გამოჩნდა და კვირიკაშვილ-ქუმსიშვილი ამ საქმეს გადაყვა, ხაზარაძე და მისი თაღლითებით დაკომპლექტებული კონსორციუმი კი თითქმის ჩამოაცილეს „ანაკლია პორტის“ პროექტს.

5. საქართველოს მტრებს, ბუნებრივია, ფარხმალი არ დაუყრიათ და მათი ბრძოლა გაგრძელდეს. ჯერ „ჰიდარასტების პარადი“ იქნა შემოდგებული, რამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, რადგანაც ბატონმა გახარიამ მტკიცე უარი განუცხადა მის ორგანიზატორებს, რომ – იგი ვერ დაიცავდა გეემოპარადეთა უსაფრთხოებას!

6. ბატონი გახარიას უარი არ აღმოჩნდა საკმარისი, პრინციპული და შეუვალი მინისტრის მოსაცილებლად, ამისათვის რუსულ-ამერიკული ძალების ერთობლივი ქმედებით ე.წ. „გავრილოვის საქმე“ იქნა გათამაშებული, რასაც ცნობილი აქციები და დიდად სამწუხარო შედეგები მოჰყვა.

რასაც გიორგი გახარია აკეთებს, ეს არის თავდადებული ბრძოლა საქართველოსთვის. კარგად დაფიქრდით, მისნაირ და უკეთეს ქართველებს თუ ხედავთ ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, მოიწვიეთ ისინი, რაც შეიძლება მეტი მათგანი დავუყენოთ გვერდში ერთმანეთს და:

„მესამე, გაუსვრელი ძალის“ ჯარისკაცებად დავუდგეთ მათ!

დავით ჟობალია
598 70 86 00

1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია პროლეტარიატის კი არა ლგბტ თემის, ჰომოსექსუალების, ლებოსელების და ტრანსგენდერების რევოლუცია იყო?

ასი წლის წინანდელი ლენინური რევოლუციის მონაპოვარი, დღესაც აქტუალურ თემად იქცა და მაშინდელი რევოლუციის ფერი დაიბრუნა. 1917 წლის ოქტომრის სოციალისტურმა რევოლუციამ ფუნდამენტური ცვლილებები გამოიწვია რუსეთის საზოგადოებაში. მილიონობით ადამიანმა დედამიწის უდიდეს ქვეყანაში თავი იგრძნო უფრო თავისუფლად ვიდრე ოდესმე იყო დესპოტი ანტისემიტი მეფის, ეკლესიის სტრუქტურების, უხეში რუსული კაპიტალიზმის თუ მიწათმფლობელთა ბატონობის პირობებში. მუშათა კლასმა დაამყარა. კონტროლი რუსეთის ეკონომიკაზე, რუსეთის რევოლუცია ბევრად უფრო დიდი ფენომენი იყო, მან ბიძგი მისცა ქალების და სექსუალურ უმცირესობათა, „ლგბტ საზოგადოების“ წარმოუდგენელთა განთავისუფლებას. უელსელი მეცნიერი დან ჰელი მეცნიერულ ნაშრომში „ჰომოსექსუალური წადილი რევოლუციურ რუსეთში“ აღწერს ლგბტ-ს ბრძოლას რუსეთის რევოლუციაში. ისტორიულ პროგრესს ლენინის და ბოლშევიკების დროს. ავტორის მტკიცებით ბოლშევიკური პროგრესი სასწაული იყო ბნელ ნახევრად-ფეოდალურ ქვეყანაში სადაც სახელმწიფოს ხერხემალი იყო რელიგიური იერარქია. ჰელი გვიჩვენებს ბოლშევიკთა უდიდეს და გასაოცარ მიღწევებს: ადრეული, ლენინის საბჭოთა კავშირი იყო პირველი ინდუსტრიალიზებული სახელმწიფო რომელმაც აღიარა ჰომოსექსუალთა ქორწინება, საბჭოთა კავშირი ვაიმარის გერმანიის პარალელურად მოკლე ხნით ლიდერობდა მსოფლიოში სქესთა შემასწორებელი ქირურგიის სფეროში, საბჭოთა სამედიცინო ექსპერტები ტრანსგენდერებთან ერთად მუშაობდნენ არა უბრალოდ ბინარული, მამაკაცი-ქალის პოზიციიდან არამედ სპექტრის თვალსაზრისი თ. კარლ კაუცკის მსგავს სოციალისტ რეფორმატორებსაც კი კონსერვატული შეხედულებები ჰქონდათ ადრეულ XX საუკუნეში. ლენინი და მისი ბოლშევიკები ამ თვალსაზრისით მსოფლიო პროგრესიზმის სათავეში იდგნენ. ლოკალური ბოლშევიკური სასამართლოები ოფიციალურად აფორმებდნენ ჰომოსექსუალთა ქორწილს.

რევოლუციიდან პირველი ხუთწლედის დასასრულამდე. ბოლშევიკებმა უარყვეს აზრი რომ ჰომოსექსუალიზმი გარყვნილებაა. ბიოლოგმა კოლცოვმა თქვა რომ არის უამრავი შუალედური სქესი და არა ერთი. 1920-ანი წლების დასაწყისში ბოლშევიკებმა დაიწყეს სქესის შემსწორებელი ქირურგია... მაგრამ გაჩნდა. უსახლკარო ობოლ პაცანთა საშიში თაობა. 1923 წლისთვის მოსკოვში გაჩენილ ბავშვთა ნახევარი უკანონო იყო და ბევრი მათგანი მშობლებმა ბავშვობაში მიყარეს ბედის ანაბარა. და შემდეგ ქანქარა უკან დაბრუნდა. ბოლშევიკურმა სახელმწიფომაც ვეღარ გაუძლო ამდენს, სტალინმაც მუშტი დაკრა და ისევ გაისმა ტრადიციულ ღირებულებათა პროპაგანდა. 1924 წელს საბჭოთა ფსიქიატრმა არონ სალკინდმა დაწერა „რევოლუციური პროლეტარიატის 12 სექსუალური მცნება“. ტექსტში ნათქვამია რომ სიყვარული მონოგამური უნდა იყოს, რომ სექსი უნდა იყოს ორი ადამიანის ძლიერი და ღრმა სიყვარულის ბოლო აკორდი. ლენინური სექსუალური აღვირახსნილობა დამთავრდა. მაგრამ, მანამდე გერმანიის კანცლერი ვილჰელმ მეორის მიერ დაქირავებულმა ლენინმა გაწყვიტა რომანოვები, არისტოკრატია, სამღვდელოება, ბურჟუაზია, გლეხობა, მუშებიც და შექმნა იმ დროისთვის ყველაზე პროგრესული კანონები სექსუალური უმცირესობების უფლებათა დაცვის სფეროში. ლეგალიზებული იქნა ჰომოსექსუალთა ქორწილი, ტრანსგენდერებს მისცეს ჯარში სამსახურის უფლება, ღიად ჰომოსექსუალი იყო საგარეო საქმეთა მინისტრი. კანონმდებლობიდან ამოღებული იქნა სექსუალურ უმცირესობათა დისკრიმინაციული კანონები და უბრალო ადმინისტრატიულ პროცედურად იქცა ოფიციალურ საბუთებში სქესის შეცვლა.

1926 წელს ბოლშევიკებმა ინდივიდებს მისცეს ოფიციალურ საბუთებში სქესის შეცვლის უფლება ანუ დააკანონეს ტრანსგენდერობა დიდი ბოლშევიკი გრიგორი ბატკისი წერდა რომ საბჭოთა კანონმდებლობის არსია სახელმწიფოს და საზოგადოების აბსოლუტური ჩაურევლობა ინდივიდთა სექსუალურ ურთიერთობებში აბა ვინ გაასამართლებს დღეს ესოდენ პროგრესისტულ ბოლშევიზმს. გუთავებლად ათრევენ მარტო სტალინს. რეალურად ეს ლენინური ლიბერტარულ-სექსუალური რევოლუციის შედეგია... 2017 წელს ყოველი 25 ბრიტანელი ახალგაზრდიდან ერთი ამბობს რომ არის ლესბოსელი, გეი თუ ბისექსუალი. ერთვნული სტატისტიკის ოფისი ამბობს რომ 2015 წელს ბრიტანელი ახალგაზრდობის 3,3% იყო ლგბტ, ეხლა ასეთები შეადგენენ ბრიტანელი ახალგაზრდობის 4,1%-ს. ბრიტანეთში ყველაზე მეტი ლგბტ-ა შოტლანდიაში, მაგრამ ამ თვალსაზრისით ლონდონი ჯონბინის შოტლანდიასაც. მოკლედ ლენინის ლიბერტარული რევოლუციის შემდეგ ბრიტანულ ოჯახებშიც იზრდება ლგბტ და არა მეფე არტური და მისი რაინდები, ჩესტერტონი თუ აივენჰო და რობ როი. აბა, ვინ გაასამართლებს ბოლშევიზმს. გავიხსენოთ, როგორ იფეთქა სექსუალურმა რევოლუციამ 1920-ანი წლების რუსეთში. გადაცმულ-ნიღბოსანთა ჯგუფები, სექსუალური თავისუფლების მქადაგებელი ლენინი, ტიტველი ნუდისტი ანარქისტები ტრამვაებში, ტიტველ ნუდისტთა პლაჟი მოსკოვში ქრისტე მაცხოვარის კათედრალთან... აი, ასეთი სადისტური სამოთხე იყო ლენინის მიერ შექმნილი სახელმწიფოს პირველ წლებში... „მოსკოვში ბოლო ხანს გამოჩნდნენ ტიტველ ინდივიდთა ჯგუფები. ეს ინდივიდები ატარებდნენ ლოზუნგს „ძირს სირცხვილი“. ერთი ასეთი ჯგუფი ცდილობდა ტრამვაიში ასვლას. ტრამვაი გაჩერდა, ხალხი აღშფოთებული იყო...“ ეს თავის დღიურში 1924 წელს დაწერა სახელგანთქმულმა რუსმა მწერალმა მიხაილ ბულგაკოვმა. 15 წლის წინ ქალები მუხლამდე კაბებით არ გადიოდნენ გარეთ. რევოლუციის წინა რუსეთი, განსაკუთრებით დედაქალაქებში, არ ყოფილა ბუნებით პურიტანული. მე-19 საუკუნის ბოლოს დაბადებული რუსი ჯარისკაცი წერდა რომ 10 წლისა ის შეხვედრია ყველანაირ ქცევას და პორნოგრაფიული სურათები არ ყოფილა იშვიათი რამე. ქალებად და კაცებად გადაცმულთა და ჰომოსექსუალთა შეხვედრები პოპულარული იყო ხელოვანთა არტისტულ წრეებში. ამით გამოირჩეოდა ზოგი არისტოკრატიც. მოკლედ ჰოლშტაინ გოტორპ რომანოვთა იმპერიის ელიტა თავისუფალი იყო მარკიზ დე სადის თავისუფლები თ. მაგრამ ოფიციალურად და ფორმალურად ჰომოსექსუალობა ითვლებოდა დანაშაულად. ხოდა მოვიდა გერმანიის კაიზერი ვილჰელმ მეორის მიერ დაქირავებული ლენინის ბანდა და და ყველაფერი შეიცვალა.

გერმანიის კანცლერი ვილჰელმ მეორის მიერ დაქირავებული ლენინის ბოლშევიზმი არ კმაყოფილდებოდა პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების, ქვეყნის ნგრევით და გატიალებით. ის ანგრევდა ადამიანის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ფსიქიკას, ისტორიულ კულტურას და ცივილიზაციას. ვერ გაძღნენ ბოლშევიკები იმპერიის ნგრევით. მათ უნდოდათ ისტორიული საზოგადოებრივი და კულტურული ღირებულებების და იდეალების დამხობა და მოსპობა. ანუ ეს იყო მარკიზ დე სადის სადისტური ნიჰილიზმის მეორე სერია. ქალის და მამაკაცის თანასწორობაზე ღრიალით მათ განაცხადეს რომ „ოჯახი არის მონათმფლობის ფორმა, რომ ეკლესია და ქორწინება არის მონათმფლობელობის ინსტრუმენტები, განქორწინება უნდა იყოს დაუყოვნებელი რა წამს ეს რომელიმე პარტნიორს მოეხუშტურება“. მეუღლე მოსპეს და შეცვალეს პარტნიორით.

აღიარეს აბორტის ანუ საკუთარი შვილის მოკვლის უფლება. ეკლესიის მიერ ნაქადაგევი ათი მცნება და თორმეტი ნეტარება, ღმერთის და მოყვასის სიყვარული უარყვეს, რაც მათ გადაურჩა ეკლესიისგან ფეხქვეშ ამოიდეს.

ხალხის მტრად გამოცხადდა ყველა ვინც არ ასრულებდა ლენინის და მისი ბანდის დეკრეტებს. ასეთებს კი ელოდა ტყვია კეფაში, სახრჩობელა ან საკონცენტრაციო ბანაკი. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა და აადვილებდა ლგბტ-სთვის ანუ სექსუალური უმცირესობების განმანთავისუფლებელი კანონმდებლობის მიღება. აღსანიშნავია, რომ 1917 წლის დეკემბერში ანუ ძალაუფლების აღებიდან რამოდენიმე კვირის შემდეგ ლენინის მთავრობამ გამოაცხადა რომ ჰომოსექსუალობა ბუნებრივი რამეა და არა დანაშაული. ლგბტ ინდივიდების სახელმწიფო შევიწროება შეწყდა. 1922 წელს მიიღეს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი. „ლგბტ“ ინდივიდთა საწინააღმდეგო კანონები გაქრა. დაშვებული იქნა ჰომოსექსუალების სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნა. რაც შეეხება. ტრანსსექსუალებს, 1926 წელს შესაძლებელი გახდა პასპორტებში სქესის თავისუფლად შეცვლა. 1917 წლის ოქტომბრიდან გარდაქმნების დაჯამებისას მოსკოვის სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტის დირექტორი გრიგორი ბატკისი 1923 წელს წერდა: „დღევანდელი სექსუალური კანონმდებლობა საბჭოთა კავშირში არის ოქტომბრის რევოლუციის ნაყოფი“... მისი განცხადებით, სახელმწიფო და საზოგადოება კანონით ვერ ჩაერეოდა სექსუალურ ურთიერთობებში თუ კი ისინი არავის უშავებენ არაფერს და არ იყო საზარალო ვინმეს ინტერესებისთვის... აღნიშნულ წლებში, ჰომოსექსუალობა, სოდომია და სექსუალური დაკმაყოფილების სხვა ფორმები რომლებიც ევროპულ კანონმდებლობაში წარმოდგენილია როგორც საჯარო მორალის დარღვევა, საბჭოთა კანონმდებლობაში გათანაბრებულია ასე ვთქვათ ნორმალურ სექსუალურ ურთიერთობასთან.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

(გაგრძელება იქნება)

როგორ აღმოჩნდნენ ფაშინიანის „რევოლუციონერები“ საქართველოს პარლამენტთან გამართულ აქციაზე?

21 ივნისს პარლამენტის წინ მიმდინარე აქციის დაშლის დროს სამართალდამცავებმა პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის ბრალდებით სომხეთის მოქალაქე დააკავეს. ამის შესახებ პირველად სომხეთის ომბუდსმენმა ფეისბუკის საკუთარ გვერდზე დაწერა. არმენ ტატოიანის თქმით დაკავებული სომხეთის მოქალაქის შესახებ მას საქართველოს ომბუდსმენმა, ნინო ლომჯარიამ აცნობა.“ მადლობელი ვარ ჩემი კოლეგის თანამშრომლობისთვის და ეფექტური ერთობლივი მუშაობისთვის. ჩვენს ქართველ მეგობრებს ვუსურვებ სიტუაციის სწრაფ და მშვიდობიან დარეგულირებას“, – წერდა არმენ ტატოიანი.



მოგვიანებით გაირკვა, რომ აქციის დაშლის დროს დაკავებული სომხეთის მოქალაქე 24 წლის მინას მინასიანი გახლავთ, რომელიც საქართველოში სწავლობს. თბილისის საქალაქო სასამართლომ სომხეთის მოქალაქეს 13 დღიანი პატიმრობა შეუფარდა, თუმცა 25 ივნისს მინას მინასიანი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

ვინ არის პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის ბრალდებით დაკავებული სომხეთის მოქალაქე და რა მიზნით იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე?

ინტერნეტ გამოცემა „კავკაზ პლიუსმა“ გამოაქვეყნა წერილი „რატომ გააგზავნა სომხეთმა თავისი ბოევიკები საქართველოს პარლამენტთან?“ რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

28 ივნისს ჩატარებულმა სომხურ-ქართულმა ფორუმმა დილიჟანში, სადაც მონაწილეობას იღებდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე, ორმაგი შთაბეჭდილება მოახდინა. რა თქმა უნდა, ბევრი “ოფიციალური გამოსვლა” იყო “მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ”, მაგრამ აშკარა იყო, რომ საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელს კითხვები ჰქონდა პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანთან. კერძოდ: რას აკეთებდნენ მისი თანამებრძოლები – “რევოლუციური” სომეხი ბოევიკები 21 ივნისს საქართველოს პარლამენტთან.

ქრონიკის კადრებიდან ჩანს, რომ თავდასხმა პარლამენტზე ხდებოდა „პროფესიონალურად“. იყო აშკარა მომზადებული პროვოკაციები, თავდამსხმელები, რომლებიც პოლიციას თავს ესხმოდნენ, თანაც მათი ქმედებები შეთანხმებული იყო: ერთნი „უკან იხევდნენ“ და მათ ადგილას სხვები ჩნდებოდნენ, რომლებიც აგრძელებდნენ პოლიციაზე თავდასხმას. სომხეთის ბოევიკების “ოპერატიული ევაკუაციის” მიუხედავად, სულ მცირე, ორი მათგანი გამოვლინდა.

ერთ-ერთი მათგანი სომხეთის მოქალაქეა, მინას მინასიანი, სოროსის ფონდის წარმომადგენელი,

სომეხი ლიბერალი და ფაშინიანის თანამებრძოლი. სომხეთის საელჩომ საქართველოში სასწრაფოდ გამოიხსნა, როგორც ჩანს ნიკოლ ფაშინიანის პირდაპირი მითითება იყო. შედეგად, სომხეთის საელჩოს დახმარებით, მინასიანი 25 ივნისს გაათავისუფლეს.

აქციაზე იყო კიდევ ერთი სომეხი ბოევიკი – დავით გრიგორიანი, რომელიც საქართველოს პარლამენტის წარუმატებელი თავდასხმის დროს დაშავდა. ის ფორმალურად, საქართველოს მოქალაქეა, მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობამ სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ძალიან შეაშფოთა. სომეხი დიპლომატები დაზარალებულს ეწვივნენ. საელჩო მუდმივად უკავშირდება ექიმებს და პერიოდულად დაპირებებს იღებს, რომ აცნობონ მისი მდგომარეობა.

აშკარაა, რომ საქართველოს პარლამენტთან მიმდინარე აქციებში მინიმუმ 2 სომეხი „რევოლუციონერი“ მონაწილეობდა.

ისინი აქციაზე დაზარაებული და დაკავებული ადამიანები არიან, თუმცა იყვნენ სხვებიც, რომლებიც „ვერ გამოიჭირეს“ და იყვნენ არა ერთი და ორი ასეთები.

ეს გვაძლევს საფუძველს, ვთქვათ, რომ ფაშინიანის სომხეთი პირდაპირ არის ჩართული საქართველოს პარლამენტის ხელში ჩაგდების მცდელობაში.

კითხვაა – რატომ?

საქმე ისაა, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა დაემთხვა ირან-ამერიკის ურთიერთობების მკვეთრ გამწვავებას. ისინი პირდაპირ საუბრობდნენ ირანის დაბომბვის შესაძლებლობით ამერიკული თვითმფრინავით, რომ სამხრეთ კავკასია ასეთი დაბომბვის საუკეთესო ბაზაა. განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თურქეთმა ნათლად მიანიშნა, არ დაუშვებს, მისი ტერიტორიიდან ირანზე თავდასხმა მოხდეს.

სომხეთში, გასული წლის მაიდანის შემდეგ, მკაფიო პრო-ამერიკული რეჟიმი მოვიდა ხელისუფლებაში. გარდა ამისა, სომხეთი პირდაპირ ირანს ესაზღვრება. თუმცა, იმისთვის, რომ სომხეთი ირანზე აშშ-ს თავდასხმის საფუძველი გახდეს, აუცილებელი იყო, საქართველოს “დერეფნის გატეხვა”.

ეს საშუალებას მისცემს ფაშინიანს ღიად და სწრაფად შეწყვიტოს ურთიერთოები რუსეთთან, კონტროლის ქვეშ აიყვანოს რუსული სამხედრო ბაზა და უფრო მეტიც, “მომსახურების” სანაცვლოდ ირანის წინააღმდეგ ამერიკული აგრესიის მხარდასაჭერად, მოითხოვოს აზერბაიჯანის ყარაბაღის ოკუპაციის აღიარება.

ის ფაქტი, რომ კონფრონტაციის შედეგად საქართველო სამოქალაქო ომის ზღვარზე იქნება – ერევნის რეჟიმს ასევე აწყობდა. საქართველოს დაშლა ხომ უფლებას მისცემდა მას, იგივე სამცხე-ჯავახეთი „აეთვისებინა“.

ნელი თორდია
571 35 36 88

თამარ ბერიშვილი

ლექსები

თამარ ბერიშვილი კარგა ხანია ემიგრანტია და ისრაელის მიწიდან უმღერის სამშობლოს. ეს ლექსები მისი შემოქმედების მცირე ნაწილია, აღსანიშნავია, რომ ქალბატონი თამარი, იმის მიუხედავად, რომ ისრაელში საკმაოდ წარმატებულ საქმიანობას ეწევა, ერთი წუთითაც ვერ წარმოუდგენია, რომ არ დაბრუნდება საქართველოში და მშობლიური რაჭის მთებიდან არ გადმოსძახებს საქართველოს სიყვარულის სტრიქონებს.

არ მესროლო!

გულის თვალებს ვერ წამართმევს ვერავინ,
არ მესროლო, არ გაგიწყრეს ღმერთი,
ქართველი ვარ, მტკივა ჩემი სამშობლო,
საფიცარი ჩემი ერთადერთი!
არ მესროლო, ხელში დროშა მიჭირავს,
დროშა ჩემი ამაყი და წმინდა,
საქართველოს მე ამ დროშით დავიცავ,
გეფიცებით, სხვა ძალა რად მინდა!
არ მესროლო, ხელში გული მიჭირავს,
სამშობლოსთვის ანთებული სანთლად,
არ მესროლო, ხელში ხატი მიჭირავს,
ხვთისმშობლისა და ის მიდგას ფარად!
არ მესროლო!
საქართველოს შვილი ვარ!
ნუ წამართმევ სიყვარულს და რწმენას,
ჩემს სამშობლოს უფლის მადლი დაიცავს,
ის შეისმენს ჩემი ქვეყნის კვნესას!
ქართველი ვარ! —
მოდი მითხარ სათქმელი,
არ ესროლო, საქართველოს გულში,
დაჭრილი ვარ, მაგრამ მაინც მიყვარხარ,
ერთად დავდგეთ
საქართველოს სიყვარულის ხნულში!

დროის ჭიდილი

შენსას წაიღებს, მოიპარავს, გაგძარცავს მწარედ,
არად დაგიდევს სიფაქიზეს და სისადავეს,
შენი ფრაზების დაიწყება ორომტრიალი
და უგზოუკვლოდ დაგატარებს ბედი ტიალი.

შენი ღირსების დასაცავად ბევრსაც აიტან,
ბრბო თავის თავის ვერ იქნება ალბათ დამსჯელი,
ყველას თავისი გზა-კვალი აქვს გადასავლელი,
შენს გულისტკივილს და სამართალს არჩევს უვიცი,
თან შენს ღირსებას აქილიკებს თავად უღირსი.

ასეა, კარგო, დრო გადის და ჩარხი ტრიალებს
ვეღარაფერი ვერ გიშუშებს გულს ნაიარევს.
ამ წუთისოფელს ვერაფერი გამოასწორებს,
მხოლოდ უფალს ვთხოვ,
სიკეთის მქნელთ, ნუ დააყოვნებს!

ლხინი წარსულში ანუ აქა ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ ვიცეკვეთ ედუარდის და ნანულის საფლავებთან

ამასწინათ ერთი უცნაური ისტორია გადამხდა თავს, რომელიც ჩემი აზრით, მოსაყოლად ღირს.

ჩემი დისშვილი, ჩემი გაზრდილი გოგო მარიამი სკოლას ამთავრებდა. ბანკეტზე მეც მიმიწვიეს. გავემზადეთ და მე და მარიკუნა წავედით, ჯერ სკოლაში, იქიდან კი რესტორანში უნდა წავსულიყავით. ასე მითხრეს, რესტორანი შევარდნაძის რეზიდენციაშიაო. ძალიან დამაინტერესა, თან გამიკვირდა, შევარდნაძის რეზიდენციაში რესტორანს რა უნდა-მეთქი. წავედით ჩვენი მანქანით. ამ სიჩქარეში კოლონას ავცდით. უამრავ ადამიანს ვკითხეთ, მაგრამ ამ რესტორნის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. მერე ერთ მშობელს დავურეკეთ და იმან გაგვიკვალა გზა ამ რესტორნამდე, რომელიც, თურმე, მართლაც შევარდნაძის რეზიდენციაში მდებარეობდა.

არაჩვეულებრივად დაგვხვდნენ და დიდი სიყვარულით მიგვიღეს. ძალიან მომეწონა იქაურობა, რაღაც-რაღაცებით დავინტერესდი, მითხრეს: ნანულის და ედუარდის საფლავები აქ არისო. ავედით მეორე სართულზე. იქ იყო სუფრა გაშლილი — მდიდრულად, გემოვნებით გაფორმებული, მართლაც საზეიმო სუფრა. კედლებზე სულ შევარდნაძის სურათები იყო გამოფენილი ბრეჟნევთან, გორბაჩოვთან, ბეიკერთან და სხვებთან და სხვებთან ერთად. აქ, ამ დიდ მისაღებში სულ ასაკოვანი კაცები ისხსნენ. მათ გავესაუბრე და იქაურობა დამათვალიერებინეს. რაღაცებს რომ ვეკითხებოდი, ცოტა გაკვირვებულები მპასუხობდნენ, როგორ არ ვიცოდი ეს ყველაფერი.

ამასობაში დაიწყო ქეიფი, ბავშვებმა კარგად იხალისეს, ჩვენც წავუცეკვეთ. მოგვიანებით გვითხრეს, რომ ჩავსულიყავით ქვედა სართულზე, სადაც დისკოთეკა გველოდებოდა. ბავშვებმა გაიხარეს. იქვე დიდი მაგიდა იყო გაშლილი — დევს ხილი და ჭიქებში დასხმულია სასმელი. ამ სასმელში ურევდნენ არაყს. უკრავდა ელექტრონული მუსიკა. ჩვენ, მშობლებმა, დიდი სიამოვნებით დავლიეთ და ელექტრონული მუსიკის თანხლებით ბავშვებთან ერთად ვიცეკვეთ „გიჟური“ ცეკვა.

— ნანულისა და ედუარდის სულებს უხარიათ, ალბათ, ჩვენ ასე რომ ვერთობით აქო, — თქვა ერთმა მშობელმა. შევარდნაძის რეზიდენცია დილამდე ზანზარებდა, მე კი გაოგნებული დავრჩი და საკუთარ თავს ვკითხე: მე ნანულისა და ედუარდის საფლავებზე ვიცეკვე-მეთქი?

ასე გამოვიდა...

წამოსვლისას დაცვას ვკითხე რესტორნის სახელი.

არა აქვს რესტორანს სახელი, ჩვეულებრივად, შევარდნაძის რეზიდენცია ჰქვიაო – მიპასუხა.

ამ ამბიდან რამდენიმე კვირა გავიდა, მაგრამ დღემდე ვერ გამოვსულვარ იქ მიღებული შთაბეჭდილებიდან, თითქოს ვიღაცამ დრო გადაახვია უკან და მისტიკურ, არაამქვეყნიურ სამყაროში ვიმოგზაურე.

ვის მოაფიქრდა შევარდნაძის რეზიდენციაში ასეთი „ზავედენიის“ გახსნა, ვის თავში დაიბადა ეს იდეა?

ქატო იქა, ფქვილი აქა,
ჭირი იქა, ლხინი — აქა.

ასე მორჩა ეს ამბავი, სიზმარს რომ უფრო ჰგავდა. სიზმარს და ზღაპარს ერთდროულად...

ნანა თოდუა
555 27 91 91

ლაუნჯი „ესკობარი“

ლაუნჯი „ესკობარი“ ეს არის ადგილი, რომელიც მრავალფეროვანი პროგრამით, უგემრიელესი კერძებითა და ბარმენის მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშებით ანებივრებს სტუმრებს. ცოცხალი მუსიკა, DJ, კარაოკე, ბენდი თუ სოლო შემსრულებლები, უამრავი გათამაშება და საჩუქრები, ეს ჩვენი ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილია. ორშაბათიდან – ორშაბათამდე, დილის 10:00 საათიდან – გამთენიის 04:00 საათამდე, ესკობარი მზადაა აქციოს თქვენი დღე დღესასწაულად. ლაუნჯი „ესკობარი“, მისი უმშვენიერესი ტერასით, მზად არის უმასპინძლოს თქვენს კორპორატიულ საღამოებს, პრეზენტაციებსა თუ სხვადასხვა ღონისძიებებს.

მისამართი: თბილისი,
ავლიპ ზურაბაშვილის N 13-15
ტელეფონი: 555 607 999

საერთო გაზეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983